ანა მარუაშვილი

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი თავისებურებანი

(თეორია და პრაქტიკა)

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

,,ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ანა მარუაშვილის** მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: **„არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი თავისებურებანი“** და ვაძლევთ რეკომენდაციას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საგამოცდო კომისიაში მისი განხილვის თაობაზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”

თარიღი _____

ხელმძღვანელი :

_____

ავტორი: **ანა მარუაშვილი**

ნაშრომი: **„არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართალწარმოების ზოგიერთი თავისებურებანი“**.

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: სისხლის სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცნება და არსი 10

§1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების ისტორია 10

§2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპები 14

§3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი მოდელები 28

თავი II. არასრულწლოვათან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამართალში 35

§1. სასჯელის სახეები და სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებები 35

§2. ნასამართლობა 40

§3. არასრულწლოვნის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება 42

თავი III. არასრულწლოვანთან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამრთლის პროცესში 47

§1. სიხლის სამართალწარმოება არასრულწლოვნის მიმართ 47

§2.არასრულწლოვნის დაკითხვის სპეციფიკა 53

§3. განრიდება-მედიაცის პროგრამა 55

დასკვნა 68

გამოყენებული ლიტერატურა 70

შესავალი

თემის აქტუალობა: სამაგისტრო ნაშრომი „არასრულწოვანთა მიმართ სისხლის სამართალწარმოების თავისებურებანი“, დღევანდელ სისხლის სამართალში აქტულაურ და მეტად საინტერესო საკითხს წარმოადგენს. საკითხის აქტუალობას ის ცვლილებები წარმოადგენს რომელებიც სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა.

სისხლის სამართლის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკა „ნულოვანი ტოლერანტობის“ გზით წავიდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასაც შეეხო ასეთი მიდგომა და გარკვეულ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკიც კი იქნა ცალკეულ დანაშაულებზე შემცირებული. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მიდგომა შეიცვალა და დღეს უკვე სისხლის სამართალი ლიბერალიზმის პრინციპს ეფუძნება, რაც ცხადია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში კიდევ უფრო თვალნათელია. კერძოდ: კვლავ აიწია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკმა 14 წლამდე, სისხლის სამართლის პროცესში დაინერგა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის სახით, აქტიურად დაიწყო მუშაობა არასრულწლოვანთა კოდექსის შექმნაზე. ცხადია ასეთი ცვლილებები საკითხს მეტ მნიშვნელობას აძლევს, მით უფრო, რომ ძირეული მეცნიერული კვლევა ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არ არსებობს.

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ფუნდამენტურ მოვალეობას სამართლებრივი ნორმების შექმნა და მათზე კონტროლი წარმოადგენს. სახემწიფოს მრავალი ფუნქცა აკისრია მათ შორის ვალდებულება იმისა, რომ სრულყოფილად მოახდინოს სამართლებრივი ნორმების რეალიზაცია. სახელმწიფოებს, რომლებსაც პრეტენზია აქვთ დემოკრატიულობაზე და სამართლიანობაზე ვალდებულნი არიან უდიდესი ყურადრება მიაქციონ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სწორად წარმართვას და შესაბამისად დემოკრატიულ და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალი და უმთავრესი მიზანია

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა და შესაბამისად უამრავი ღონიძიების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან.

საქართველო იმ ქვეყნების კატეგორიაში შედის სადაც ეს პრობლემა მდგომარეობს, ჩვენი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ათეული წლებია მიღებულია, მაგრამ დღესაც კანონმდებლობაში უმრავი ცვლილებები შედის და განსაკუთრებთ არასრულწლოვნების მიმართ.

ამდენად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხი დღესდღეობით მეტად პრობლემური და აქტუალური საკითხია ჩვენი ქვეყნისათვის.

კვლევის ობიექტი: სამწუხაროდ დღეს ჩვენს რეალობაში არასრულწლოვანთა დანაშაული ძალზედ მწვავედ დგას, მტკივნეული თემა და პრობლემური საკითხია. მისი კარგად შესწავლა, გამოკვლევა ძალზედ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარებისათვის, ვფიქრობ, რომ თუ კარგად იქნება ეს ინსტიტუტი შესწავლილი თავისი პრობლემური საკითხებით, საგრძნობლად შემცირდება არასრულწლოვანთან დაკავშირებული დანაშაულებები, რაც დაეხმარება სახელმწიფოს უკეთ განვითარებაში. ეს კი მოხდება მაშინ, როცა ეს სფერო ძირფესვიანად იქნება შესწავლილი თავის ამოცანებით, მიზნებით და ა.შ.

საკითხის ასეთი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები როგორიცაა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები; არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის სახეები და ფორმები; არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თავისებურებები.

აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ არასრულწლოვანთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, გავიგებთ თუ როგორ და საიდან წარმოიშვა თავდაპირველად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები და როგორაა იუვენალური სისტემა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები: კვლევის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს შესწავლა, რათა მოხდეს არასრულწლოვანთა მართმსაჯულების შემადგენელი ელემენტების ანალიზი. ჩემი აზრით კვლევის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, შეიქმნას მართებული წარმოდგენა

არასრულწლოვანთა მართმსაჯულებაზე, რათა საზოგადოებამ გაიცნოს და ჩაუღრმავდეს ამ ინსტიტუტს. ვფიქრობ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესწავლის მიზანია, მოცემული დანაშაულის მიზეზების, გამომწვევი პირობების, მისი თავიდან აცილების გზების ერთიანი სისტემატიზაცია, შემუშავდეს პრევენციული ზომები, ჩამოყალიბდეს ამ პრობლემასთან ბრძოლის და მისი შედეგების აღმოფხვრისათვის საჭირო რეკომენდაციები. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანას წარმოადგენს ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული ხარვეზების საწყის ეტაპზევე გამოვლენა და მისი გადაჭრის გზების ძიება.

აღნიშნული ამოცანის გადაჭრის მიზნით, სამაგისტრო ნაშრომში საუბარი იქნება დანაშაულის მთავარი მოქმედი პირის - არასრულწლოვნის შესახებ, განხილული იქნება დანაშაულის ჩადენის მაპროვიცირებელი მიზეზები და ასევე ის შედეგები, რაც თან ახლავს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულს, ასევე, ის გზები და მექანიზმები, რომელებიც შექმნილი სიტუციის მიუხედავად იძლევა იმედს, რომ, დანაშაულის ჩამდენ ახალგაზრდას, ისეთივე პონტენციალი აქვს საზოგადოების სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებისა, როგორც ყველა სხვა დანარჩენს.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში კვლევის მიზნების და ამოცანების ეფექტიანად გადაჭრისათვის გამოყენებული იქნება ისეთი მეცნიერული მეთოდები, როგორიცაა შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, სტატისტიკური კვლევის მეთოდი და სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი.

აღნიშნული მეთოდების გამოყენება მოგვცემს საშუალებას ვნახოთ როგორ ვითარდება ჩვენთან და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სტატისტიკური კვლევის მეთოდი დაგვანახებს არასრულწლოვანი დამნშავეების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, მათი დაცულობის ხარისხს და ა.შ. ამაზე დაყრდნობით კი ვნახავთ თუ რა პრობლემების წინაშე დგას ჩვენი კვლევის ობიექტი.

კვლევის სავარაუდო შედეგი: კვლევის შედეგად გამოიკვეთება არასრულწლოვანთა განვითარების გზები, პრობლემები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმირების პროცესში და

რაც მთავარია, კვლევის შედეგად უნდა დავსახოთ ის პრაქტიკული წინადადებები, რომელებიც ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებას მოგვცემს.

კვლევის არსებული მდგომარეობა: გამომდინარე იქედან, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ახალ დარგს წარმოადგენს ქართულ სისხლის სამართალში, სამწუხაროდ ფუნდამენტური ნაშრომი, ან რაიმე სახის მონოგრაფია ამ საკითხთან დაკავშირებით რთულად მოიძებნება, რომელსაც დაეფუძნებოდა მოცემული კვლევა. შესაბამისად ნაშრომი დაეყრდნობა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნების მაგალითს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ასევე საკანონმდებლო ნორმებს და სტატისტიკურ მონაცემებს.

თემის სტრუქტურა: წარმოდგენილი თემა შედგება შესავალისაგან, 3 თავისაგან, 9 პარაგრაფისაგან, დასკვნისაგან, ბიბლიოგრაფიისაგან და საერთო ჯამში 72 გვერდისაგან

პირველი თავი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცნება და არსი, სადაც საუბარი იქნება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების ისტორაზე, სხვადასხვა ქვეყნებზე დაკვრვებით, ასევე იუვენალური იუსტიციის პრინციპებზე და მის მოდელებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე.

მეორე თავი არასრლწლოვანთან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამართალში, სადაც საუბარი გვექნება არასრულწლოვანი დამნაშავეების სასჯელის სახეებზე და ალტერნატიულ ღონისძიებებზე, არასრულწლოვანთა ნასამართლეობაზე და არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაზე.

მესამე თავში არასრულწლოვანთან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამართლის პროცესში სადაც განხილული გვექნება სისხლის სამართალწამოება დამნაშავე არასრულწლვნების მიმართ, არასრულწლოვან დამნაშავეებთან დაკავშირებით დაკითხვის სპეციფიკა დაგანრიდება-მედიაციის პროგრამა.

თემის დასკვნით ნაწილში შევაჯამებთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებულ ხარვეზებს, ვისაუბრებთ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის გზებსა და ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელებაც მეტად საჭირო და აუცილებელიცაა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

თავი I. არასრულწლოვანთა მართმსაჯულების ცნება და არსი

§1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების ისტორია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბების ისტორია ცხადყობს, რომ სისხლის სამართლის პროცესში მათი ჩართულობა, ნებისმიერი მონაწილის სტატუსით, იქნება ის ბრალდებული, დაზარალებული თუ მოწმე- სულ უფრო მეტად იპყრობს მეცნიერების, პრაქტიკოსი იურისტების, სოციალური სამსახურების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღებას. დღეს, მთელს მსოფლიოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაციის პროცესი შეუქცევად ხასიათს ატარებს, „ბავშვზე მორგებული“ მართლმსაჯულება მე-20 საუკუნის ტრენდია, რომელმაც დასჯაზე ორიენტირებული, სასტიკი და უსამართლო პროცესი, ბავშვების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე ორიენტირებულ სისტემად აქცია.

შემორჩენილი მცირე ისტორიული წყაროებიდან, რომელიც საუკუნეების წინანდელი დამნაშავე „ბავშვების“ ბედზე მოგვითხრობენ, ირკვევა, რომ კანონები და პროცედურები, რომლებიც სამართლის წინაშე „სრულწლოვანსა“ და „არასრულწლოვანს“ მიჯნავდა ათობით საუკუნეს ითვლიან. რა თქმა ანდა, ეს არ იყო ბავშვებზე ორიენტირებული, ლმობიერი და სისტემურ ხედვაზე დაფუძნებული წესები, მეტიც, „ბავშვობის“ ისტორიის მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე სახელმწიფო და სამართალი უსამართლო და სასტიკი იყო მათ მიმართ. მაგრამ მათი არსებობა, საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არასრულწლოვანთა ასაკობრივ თავისებურებებს, საზოგადოება უძველესი დროიდან უწევდა ანგარიშს. პასუხისმგებლობის ასაკის იდეაზე დაყრდნობით, კანონიკური სამართალი 2000 წლის წინ განასხვავებდა მოზარდებსა და ზრდასრულებს; თალმუდი- არასრულწლოვან დამნაშავეთათვის სასჯელის შემსუბუქებას ითვალისწინებდა და კრძალავდა 17 წლამდე პირების სიკვდილით დასჯას[1]იმპერატორ იუსტინიანეს დაგესტების მე-4 წიგნის მე-4 ტიტული 25 წელს მიუღწეველ პირებისთვის ადგენდა მეურვეების წარმომადგენლობით მონაწილეობას,

[1]HISTORY AND DEVELOPMENT OF THE JUVENILE COURT AND JUSTICE PROCESS

რათა მათი ასაკობრივი წინდახედულებით ახალგაზრდები არ გამხდარიყვნენ თაღლითებისა და მოტყუების მსხვერპლნი[2].

ჩერნიშევის აზრით, არასრულწლოვან დამნაშავეებს, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად გაცნობიერება, რაც მოზარდის არასაკმარის ინტელექტუალურ მომზადებასა და გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული[3].

რაც შეეხება დანაშაულს, დიგესტების ავტორი, იურისტი და პრეფექტი დომენიცია ულციანი ფიქრობდა, რომ ამ მიმართულებით მათ არანაირი შერავათი არ უნდა ჰქონოდათ. ჩვენი წელთაღრიცხვით მე-5 საუკუნეში, სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში ასაკობრივი შეღავათები დაწესდა 12 ტაბულის კანონით.მასშიარასრულწლოვნისთვის „დანაშაულის პატიების“ 2 შემთხვევა იქნაგაითვალისწინებული, 1. როცა არასრულწლოვანი დამნაშავე ვერ აცნობიერებდა რომ მისიქმედება წარმოადგენდა დანაშაულს 2. როცა, თავად დანაშაული არ (ვერ) იქნა ბოლომდე მიყვანილი[4]. 12 ტაბულის კანონის ეს დათქმები მოგვიანებით ვრცელდებოდა ყველა იმ ქვეყანაზე, რომელმაც „მიიღო“ და საკუთარი სამართლე წყაროდ აქცია რომის სამართალი.

შუა საუკუნეები იყო მკაცრი და დაუნდობელი როგორც დიდებისთვის ასე ბავშვებისთვის, ინკვიზიციური სამართალი თაბრად არ ცნობდა არც სრულწლოვანთა და არც არასრულწლოვანთა უფლებეს, ბავშვთა დანაშაულობის ცნობილი შვედი მკვლევარები მორის და ენრიკა ვეიარ-ციბულსკები, მრავალრიცხოვან კვლევებზე დაფუძნებით ადგენენ, რომ შუასაუკუნოვან ევროპაში, არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯა, მათი წამება, დატუსაღება, სასტიკი სასჯელები და სიკვდილით დასჯა- ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენდა.

ინგლისელი იურისტი პიტერ კინგი, რომელმაც შეისწავლა ბავშვთა დანაშაული, კვლევაში „შეხედულებები დანაშაულსა და სამართლიანობაზე 1740-1820 წლების ინგლისში“ წერს, რომ იმდროინდელი ინგლისელი ბავშვები აბსოლუტურად დაუცვლნი იყვნენ სასამართლოსა და ციხეებში, ტუსაღ ბავშვეთა უმეტესობას წარმოადგენდნენ მცირეწლოვანი ვაჟები და 10-13 წლამდე გოგონები, რომლებიც

---

[2] ი. მინაშვილი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდესის კომენტარები; თბ., 2017, გვ.7-8

[3] Чернышев А. , Преступность несовершеннолетних и меры борьбы с ней в СССР. Томск, 1975, с. 37

[4]

სასჯელს ერთდ და სრულწლოვან და ასაკოვან დამნაშავეებთან ერთად იხდიდნენ, რაც თავის მხრივ მათგან სრულყოფილი დამნაშავეებს აყალიბებდა.

არასრულწლოვანთა მიმართ ტრადიციული დამოკიდებულების შეცვლა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო.1824 წელს გატარებული რეფორმით გაიმიჯნა ციხეში არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა ერთად ყოფა. 1831 წელს, ილინოისის შტატის კანონით განისაზღვრა, რომ სრულწლოვან და არასრულწლოვან დამნაშავეთა სასჯელები არ უნდა იყოს ერთგვაროვანი, 1869 წელს ბოსტონში პირველად იქნა ორგანიზებული სასამართლო სხდომა არასრულწლოვნებისთვის და მათ მიმართ გამოყენებული იქნა პრობაციის რეჟიმი (აღმზრდელობითი ზედამხედველობა), ეს და სხვა პროგრესული რეფორმები 1899 წლის 2 ივლისს დაგვირგვინდა ჩიკაგოს არასრულწლოვანთა სასამართლოს დაარსებით, რომელიც შემდგომში იქცა მაგალითად მთელი ევროპისთვის. შემდეგი განვითარება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებამ ჰპოვა დიდ ბრიტანეთში სადაც 1908 წელს იყო მიღებული კანონი ახალგაზრდა ბავშვების შესახებ. საფრანგეთში პირველი არასრულწლოვანთა სასამართლო გაიმართა 1914 წელს.

რუსეთის ფედერაციაში კი პირველი არასრულწლოვანთა პროცესი ჩატარდა 1918 წელს სანკ-პეტერბურგში, შემდეგ უკვე მოსკოვში და სხვა ქალაქებშიც. მიუხედავად ასეთი საფუძვლის არსებობისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დროს არასრულწლოვანთა საკითხი, როგორც მართლმსაჯულების დამოუკიდებელი სფეროს ჩამოყალიბების აუცილებლობა, საერთოდ არ განიხილებოდა. შესაბამისად მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სამართალწარმოების განხორციელების სპეციფიკურ წესებსა და მიდგომებზე საბჭოთა კავშირის ფარგლებში საუბარი საერთოდ აღარ ყოფილა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარება მხოლოდ 1990-იანი წლებიდან იწყება.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ტექნიკურმა პროგრესმა, რომელმაც ჩაანაცვლა ხელით შრომა, უამრავი ადამიანი დატოვა უმუშევარი, ხოლო ბავშვები მშიერი და ღვთის ანაბარად მიტოვებული, ამიტომ იმდროინდელი ევროპა პირდაპირ სავსე იყო არასრულწლოვანი მოხეტიალე და კანონდამრღვევი ბავშვებით, რომლებიც სარჩოს მოსაპოვებლად მიდიოდნენ ყველანაირ დანაშაულზე, უკონტროლო და რიცხობრივად მზარდი ასეთი

არასრულწლოვნების პოპულაცია საფრთხეს წარმოადგენდა არამარტო მოქალაქეებისთვის, არამედ ქვეყნების ეკონომიკისთვის, წარმოებისთვის და თითოეული მოქალაქისთვის, ბრძოლა "დამნაშავე" არასრულწლოვანთა წინააღმდეგ გახდა იმდენად არაეფექტური, რომ ის არამცთუ იძლეოდა შედეგს, არამედ პროვოცირებას უკეთებდა ახალ და ახალ დანაშაულს.

განსაკუთრებით აქტუალური ის გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან გახდა და დემოკრატიული სამყაროს ქვეყნების სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერა-ლიზაციის კვალდაკვალ, სულ უფრო მეტად იხვეწება.

მთელ რიგ დემოკრატიულ სახელმწიფოებში არასრულწლოვანთა საქმეებს დამოუკიდებელი სასამართლოები განიხილავენ. მაგალითად: გერმანიაში არასრულწლოვანთა საქმეებს არასრულწლოვანთა სპეციალური სასამართლოები განიხილავენ; საფრანგეთის კანონმდებლობის მიერ იმპერატიულად არის დადგენილი, რომ არასრულწლოვნები არ შეიძლება გაასამართლოს საერთო სასამართლოებმა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით საქმეს განიხილავს ან ბავშვთა სასამართლო ან არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლო.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სამართლის ახალი დარგია, რომელიც მრავალწლიანი შრომის და საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობითა და მხარდაჭერით 2015 წლის... სექტემბერს იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკა და ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა თითქოს ყოველთვის ითვალისწინებდა „გარკვეულ შეღავათებს" არასრულწლოვანთა მიმართ, მაგრამ ეს „შეღავათები" როგორც საკანონმდებლო რეგულაციების, ისე პრაქტიკაში გამოყენების მიმართულებით აბსოლუტურად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის მუდმივი დავის საგანი იყო. 2010 წლამდე არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულება იყო ინკვიზიციური, დასჯაზე ორიენტირებული და არ ცნობდა რესოციალიზაციის მექანიზმებს.

§2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ეფუძნება იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ორიენტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის აღიარებასა და დაცვაზე. ამ პრინციპებზე დაფუძნებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ზრუნავს სისხლის სამართლის პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლებრივი მექანიზმების იმგვარ გამოყენებაზე, რომ რაც შეიძლება მინიმალურ დონემდე იქნეს დაყვანილი არასრულწლოვნის იზოლაცია საზოგადოებისგან, მისი სტიგმატიზაცია და ა.შ.

არასრულწლოვნათა მართლმსაჯულების სფეროში ერთ-ერთ წამყვან დოკუმენტს საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით წარმოადგენს გაეროს მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა არასრულწლოვანთან მიმართებაში საზოგადოებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს მოწესრიგების ფუნდამენტური პრინციპები. უშუალოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას ეხება კონვენციის მე-40 მუხლი, რომლის პირველი პუნქტი აყალიბებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგად პრინციპებს და მისი მოთხოვნის შესაბამისად: „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვითონ თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს შეუწყობს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას.“[5]

[5]. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლი, ხელმისაწვდომია: http://kids.ge/articles (მოძიებულია.....)

ძირითადად გამოყოფენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 4 ძირითად პრინციპს. ეს 4 ძირითადი პრინციპია:

1. დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
2. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი;
3. სიცოცხლის ხელშეუხებლობის და განვითარების უფლება;
4. მოსმენის უფლება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი თანმიმდევრობით:

1. დისკრიმინაციის დაუშვებლობა ცალსახად გაწერილია ბავშვის უფლებათა კონვენციაში.[6] ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, რომ ყველა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული იყოს თანაბარი უფლებები.[7]

კანონთან კონფლიქტში მყოფი მრავალი ბავშვი ხდება დისკრიმინაციის მსხვერპლი, მაგალითად მაშინ, როდესაც ცდილობს მიიღოს განათლება ან თავი დაიმკვიდროს შრომის ბაზარზე, საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება, რათა არ მოხდეს ამგვარი დისკრიმინაცია. საკმაოდ მრავალფეროვანია იმ ზომების ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისი ზომების მიღებაში უნდა ვიგულისხმოთ, ასეთი ღონისძიებები შესაძლოა იყოს:

- წარსულში კანონდამრღვევი არასრულწლოვნისათვის დახმარების გაწევა;
- საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები, რათა საზოგადოებამ აღიაროს ამგვარი ბავშვების სასარგებლო როლი;
- მნიშვნელოვანია გატარებული იქნეს ისეთი ზომები, რომლებიც თანაბრად იქნება გათვლილი ყველა ბავშვზე მიუხედავად მათი სოციალური კუთვნილებისა. კერძოდ, ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების თანაბარი მოპყრობის უფლება. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს დე-ფაქტო დისკრიმინაციას და უთანასწორობას, რომელიც შეიძლება არათანმიმდევრული პოლიტიკიდან გამომდინარეობდეს და განსაკუთრებით შეეხოს ბავშვების ისეთ დაუცველ ჯგუფებს, როგორებიც არიან, მაგალითად, ქუჩის ბავშვები,

[6]. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1108.pdf ,(მოძიებულია.....)

[7]. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ხელმისაწვდომია: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6582 (მოძიებულია.....)

ბავშვები, რომლებიც მიეკუთვნებიან რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ უმცირესობებს, გოგონები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და აგრეთვე ის ბავშვები, რომლებიც ხშირად არღვევენ კანონს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში მონაწილე ყველა სპეციალისტის მომზადება, გარდა ამისა საჭიროა შემუშავებული და დაცული იქნეს წესები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონდამრღვევი ბავშვის მიმართ თანასწორ მოპყრობას და ასევე უზრუნველყოფს გამოსწორებისა და კომპენსაციის მექანიზმებს.

მას შემდეგ, რაც გავეცანით საერთაშორისო სამართლებრივ რეგულაციას ვნახოთ, როგორ არის დარეგულირებული შიდა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი.

დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს ზოგადი სახით აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-14 მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორი განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიური კუთვნილებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა თუ საცხოვრებელი ადგილისა.[8]

კონსტიტუციის მიხედვით, საქართვლოს მოქალაქეები თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ენობრივი, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით.[9]

ეს ზოგადად დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, რაც შეეხება უშუალოდ არასრულწლოვნის კონტექსტში დისკრიმინაციის პრინციპის აღიარებას, ამაზე არც კონსტიტუცია და არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არაფერს ამბობდა, თუმცა 2015 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლი ცალსახად აცხადებდა, რომ არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში სავალდებულოა არასრულწლოვნის უფლებათა

[8] . საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14, თბ., ბოლო რედაქციით
[9]. იქვე მუხლი 38

საერთაშორისო გარანტიების სრული დაცვა, რითაც აღიარებდა არასრულწლოვანთა დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპსაც. [10]

კონსტიტუცია ასევე უზრუნველყოფს დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპების დაცვას მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ და აცხადებს, რომ საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ.[11]

2. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა - ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის დაცვას გარკვეულწილად დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინიპიც მოიცავს. თუმცა, თავისი არსით ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა გაცილებით ფართოა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს.

საინტერესოა რა იგულისხმება არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესში. აღნიშნული ცნების ჩამოყალიბებული დეფინიცია არ არსებობს, ის შეიძლება განვმარტოთ, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვათა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვნები სრულწლოვნებისაგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობით და განათლების საჭიროებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები (per se) ადასტურებს მისი ბრალეულობის ნაკლებ ხარისხს და მოითხოვს სრულწლოვნებისაგან განსხვავებულ მიდგომას. ეს ნიშნავს,

[10]. საქართველოს სისილის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 316, თბ., 2015
[11]. საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 47, თბ., ბოლო რედაქციით

რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა, უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებმა, რაც საბოლოო ჯამში სწორედ საზოგადოების უსაფრთხოების მიზანს ემსახურება.[12]

პეკინის წესების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირველესყოვლისა მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. „საუკეთესო ინტერესის ტესტი" გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრიდან და მსჯელობითი ღონისძიებების მინიმუმამდე დაყვანას და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შემდგომი რეინტეგრაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას.[13] „საუკეთესო ინტერესის ტესტი" ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენიის მქონე სასჯელი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს.[14]

ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესზე საუბრისას ყოველთვის იმაზე ვაკეთებთ ხაზგასმას, რომ უფროსებისაგან ბავშვებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარება, აგრეთვე ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები განასხვავებს და სწორედ ამ განსხვავებებს მივყავართ ბავშვის ჭეშმარიტ ინეტერესამდე, რომელთა შორის გახლავთ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრება და შედარებით ლოიალური სისხლის–სამართლებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბება არასრულწოვანთა მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკავებასა და ბავშვების მიმართ განსხვავებული

---

[12]. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი , თბ., 1710, პარაგრაფი 10

[13]. პეკინის წესები, წესი 5, ხელმისაწვდომია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:blmaH8aqDyIJ:www.ombudsman.ge/uploads/other/1/1106.pdf+&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=firefox-a#26 (მოძიებულია.....)

[14] . სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პოლიტიკის შემმუშავლებისათვის არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODG) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), 2011, გვ. 24

მოპყრობის საჭიროებას. უფრო კონკრეტულად კი, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა, კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ გულისხმობს, სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ამოცანების ჩანაცვლებას, როგორიცაა რეპრესია და დასჯა რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით, რაც აუცილებელია განხორციელდეს, საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით.[15]

ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა გულისხმობს ბავშვის ფსიქიკის შესწავლასაც თავისთავად. შეუძლებელია მისი ინტერესების დაცვა განხორციელდეს თუ არ მოხდა მისი ფსიქიკური, სოციალური, ეკონომიკური გარემოს შესწავლა. შეუძლებელია ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილ პრობლემებს გაუმკლავდე თუ არ იცი მისი სოციალური გარემო, თუ სად იზრდება, რა საზოგადოებაში ტრიალებს, რა ხალხთან აქვს კავშირი რადგან ყოველივე ეს ზემოქმედებს ბავშვის ადამიანად ჩამოყალიბებაზე.

არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებასთან მჭიდრო კავშირშია ინდივიდუალური მიდგომა არასრულწლოვნების მიმართ და გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის ინტერესები უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.[16]ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის პირადი შეხედულებები მისი ინტერესების განსაზღვრისას.

აღნიშნული პრინციპი პროცესის მწარმოებელი პირისაგან მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვნის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის მიმართ გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და მხედველობაში მიიღოს არასრულწლოვნის შემდეგი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდის და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რაც არასრულწლოვნის ხასიათისა და

---

[15]. საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, გაეროს ბავსვთა ფონდი (UNICEF), 2011, გვ.65

[16]. ევროპული წესები, წესი 5, ხელმისაწვდომია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:blmaH8aqDyIJ:www.ombudsman.ge/uploads/other/1/1106.pdf+&cd=2&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=firefox-a#39 (მოძიებულია.....)

ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ყველა არასრულწლოვანს შეუძლია მიიღოს განათლება, აირჩიოს ის პროფესია რაც მას სურს და იმოღვაწეოს ამ სფეროში, განავითაროს საკუთარი თავი და მიიღოს გარანტია სახელმწიფოსაგან, რომ მისი სიცოცხლე ხელშეუხებელია. არავის არ აქვს უფლება შეზღუდოს მისი სიცოცხლე. სწორედ ეს დებულებებია გაერთიანებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მესამე პრინციპში - სიცოცხლის ხელშეუხებლობის და განვითარების უფლება.

საქართველოს კონსტიტუციაში და სხვა სამართლებრივ აქტებშიც მკაფიოდ ჩანს რომ ყველას აქვს განათლების მიღების უფლება განურჩევლად კანის, რასის, სქესისა თუ რელიგიური მრწამსისა. ეს საყოველთაო უფლებაა.

3. სიცოცხლის ხელშეუხებლობისა და განვითარების უფლება - აღნიშნული საყოველთაო და ხელშეუხებელ უფლებას წარმოადგენს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება. შესაბამისად, არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში ჩართულმა პირებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ არ შეიქმნას რაიმე დაბრკოლება არასრულწლოვნის განვითარებისთვის, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების კუთხით. ასე რომ არასრულწლოვანთა მიმართ განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე მართებთ სასამართლოებს როცა არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთას ეხებიან, რადგან არასრულწლოვანი არის პირი რომელიც ზუსტად ამ პერიოდში ყალიბდება ადამიანად და მის მიმართ შეფარდებულმა სასჯელმა შეიძლება დიდი როლი იქონიოს მის მომავალზე, მის ადამიანად ჩამოყალიბებაზე.

სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა ვადამდელი გათავისუფლების პირობის გარეშე, მკაცრად იკრძალება ბავშვთა უფლებათა კონვენციის 37-ე (ა) მუხლით, თავისუფლების აღკვეთა ძალზედ უარყოფითად აისახება ბავშვის განვითარებაზე და მის საზოგადოებასთან შემდგომ ურთიერთობაზე. თავისუფლების აღკვეთა დაპატიმრების, დაკავების ან საპყრობილეში მოთავსების ჩათვლით, ბავშვის განვითარების სრულად დაცვის მიზნით განიხილება უკიდურეს

ზომად და გამოიყენება რაც შეიძლება მცირე პერიოდით. არასრულწლოვანთა მიმართებისას აუცილებელია რაც შეიძლება მსუბუქი სასჯელები იქნას გამოყენებული რათა ამ სასჯელებმა არათუ დაუმძიმონ სიტუაცია არასრულწლოვნებს, არამედ დააფიქრონ თავიანთ ქმედებაზე, უბიძგოს გამოსწორებისაკენ და არა კრიმინალიზაციისაკენ.

4. მოსმენის უფლება - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები, საფუძვლად შეიძლება დაედოს რეფორმებს, პროცესების გაუმჯობესების და მათი დაცვის მიზნით, ამას ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მეოთხე პრინციპი- მოსმენის უფლება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ნებისმიერ ეტაპზე, სრულად უნდა იქნეს დაცული ბავშვის მიერ საკუთარი მოსაზრების თავისუფლად გამოთქმის უფლება. ბავშვი არ უნდა იყოს შეზღუდული თავისი აზრის გადმოცემაში, მას არათუ დისკომფორტი უნდა შევუქმნათ, არამედ ხელი უნდა შევუწყოთ ნათლად, მკაფიოდ გადმოსცეს თავისი აზრი ამათუიმ საკითხთან დაკავშირებით, ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი შეიძლება მივიდეთ დანაშაულის საწყის ეტაპამდე ანუ იმ მაპროვოცირებელ ელემენტებთან რამაც უბიძგა არასრულწლოვანს დანაშაულის ჩადენისაკენ, რაც შესაბამისად დაგვეხმარება გარკვეული გეგმების შემუშავებაში, დანაშაულის თავიდან აცილების ხერხების მოძებნაში. ბავშვს ისე როგორც სრულწლოვან, ზრდასრულ ადამიანს გარკვეული უფლებებიც აქვს, რითაც მას შეუძლია შეუზღუდავად ისარგებლოს. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა აძლევს საშუალებას ნებისმიერ პირს, მათ შორის 18 წლამდე ასაკის პირსაც, წარუდგინოს ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებს სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებით და შესაბამისად, სათანადო ორგანოები ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

თითოეულ ბავშვს საქართველოში ენიჭება უფლება ინდივიდუალურად, სხვა პირის ჩარევის გარეშე, მიმართოს სათანადო ორგანოებს განცხადებით მისი უფლებების დარღვევის შესახებ. ბავშვს შეუძლია შეიტანოს საჩივარი საცხოვრებელთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, რომელიც რაიმე ფორმით

ზეგავლენას ახდენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მის იურიდიულ უფლებებსა და ინტერესებზე. ამას გარდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ჩადებულია დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს მცირეწლოვნის მიერ საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოთქმის უფლებას სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს. საქართველოს კანონმდებლობით, მცირეწლოვნისაგან შესაძლებელია ინფორმაციის მიღება, სიტყვიერად ან სხვა სახით, გარკვეულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, მცირეწლოვნის მოსმენა უნდა მოხდეს მასწავლებლის ან ოფიციალური წარმომადგენლის დასწრებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის მიმცემი პირი 7 წლამდე ასაკისაა მაშინ ეს უნდა მოხდეს მშობლის, მეურვის ან ოფიციალური წარმომადგენელის წერილობითი თანხმობით.[17]

ეს არის ის 4 ძირითადი პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, გარდა ამ 4 პრინციპისა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას როგორც პრაქტიკულ, ასევე საკანონმდებლო დონეზე ყურადღება უნდა მიექცეს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, მაგალითად, ისეთებს, როგორიცაა:

- არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვა;
- არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია;
- ინტერვენცია სამართლებრივი პროცედურების კონტექსტში და მის გარეთ;
- წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვას;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს;
- გარანტიებს სამართლიანი სასამართლოსთვის;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან ურთიერთობას სასამართლო განხილვის გამოუყენებლად;
- თავისუფლების აღკვეთას წინასწარი დაკავებისა და სასამართლოს შემდგომი დაპატიმრების ჩათვლით;
- პატიმრობას, როგორც უკიდურესი ზომა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში;

[17]. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 306, თბ., 2015

– არასრულწლოვნის ნასამართლობა;

– განრიდება.

ევროპული წესების თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული სანქციისა თუ ღონისძიების დასრულებისთანავე უნდა განადგურდეს მისი საქმის მასალები ან მოხდეს მათი დაარქივება, სადაც ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა იქნება მკაცრად შეზღუდული იმგვარად, რომ ინფორმაცია დაცული იყოს გამჟღავნებისაგან.[18] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად კი იმისათვის, რომ ახალგაზრდამ შრომის ბაზარზე უპრობლემოდ დაიმკვიდროს თავი, სახელმწიფოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას არ ჰქონდეს ვალდებულება დამსაქმებლებს გაუმჟღავნონ საკუთარი ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოს სპეციპიკა სხვაგვარად მოითხოვს.[19] არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია დახურული უნდა იყოს მესამე მხარეებისათვის და შენახული იქნას მკაცრად საიდუმლოდ. არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მის მიმართ გამოყენებულ ზომას რეალურად ჰქონდეს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის შედეგი და პირმა მოახერხოს საზოგადოებაში საკუთარი თავის სრულფასოვან წევრად დამკვიდრება. არასრულწლოვნების პერიოდში ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა სერიოზულად გაართულოს პირის მიერ ნომალური ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს, რომ ყოველ ბავშვს, რომელმაც დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად მოეპყრობიან ბავშვის რეინტეგრაციისა და საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობის გათვალისწინებით. ეს მუხლი ანალოგიურია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-4

---

[18]. ევროპული წესები, წესი 34, ხელმისაწვდომია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:blmaH8aqDyIJ:www.ombudsman.ge/uploads/other/1/1106.pdf+&cd=2&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=firefox-a#39 (მოძიებულია.....)

[19].ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1225.pdf (მოძიებულია.....)

პუნქტისა, რომელიც სახემწიფოებისაგან მოითხოვს, გაითვალისწინონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციის ხელშეწყობის სასურველობა. [20] ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება დამნაშავედ ცნობილი ბავშვების მიმართ უნდა ემსახურებოდეს ამ ბავშვების რეაბილიტაციას. ბავშვი მომზადებული უნდა იყოს დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის და თავისუფალ საზოგადოებაში პასუხისმგებლობების გაზიარებისათვის.

მშობლების პასუხისმგებლობაა, ბავშვებს გააცნონ მათი უფლებები. იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებმაც დაარღვიეს კანონმდებლობა უნდა იქნეს გამოყენებული სასჯელის ისეთი სანქციები რომელიც არ შელახავს ბავშვის ღირსებას და პირიქით ხელს შეუწყობს მის საზოგადოებასთან რეაბილიტაციას სასჯელის მოხდის შემდეგ. სასჯელის შეფარდებისას პირველ რიგში განხილული უნდა იქნას ყველაზე მსუბუქი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეფარდოს უფრო მძიმე ზომა, თუ დადგინდება, რომ მსუბუქი საშუალება მიზანს ვერ მიაღწევს. ამასთანავე, არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განხილული უნდა იქნეს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. ნებისმიერი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ სასამართლოში საქმის განხილვის ნაცვლად გამოიყენება, უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვის მიზანს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განიხილება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უკეთ მოემსახურება თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებასთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურორი უპირველეს ყოვლისა იფიქრებს განრიდების გამოყენებაზე, და თუ, შესაბამისი საფუძვლები არ იქნება სახეზე და განრიდების გამოყენება არ იქნება

[20]. ჰამილტონიქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNISEF), 2011, გვ. 44

მიზანშეწონილი, მხოლოდ ამის შემდეგ განიხილება სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება.

სისხლის სამართლის მინიმალური ასაკი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, დაწყებული ძალიან დაბალი - შვიდი ან რვა წლის ასაკიდან, დამთავრებული 14 ან 16 წლით. საკმაოდ მრავლადაა ისეთი ქვეყნები სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ორი მინიმალური ასაკი მოქმედებს.

ეს იმას ნიშნავს რომ იმ ბავშვებთან ურთიერთობისას, რომელთაც დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევად, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებას სასამართლოში საქმის განხილვის გარეშე, სადაც ეს შესაძლებელია და სასურველი. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების შემთხვევაში სასამართლოში საქმის განხილვის გარეშე სხვა ღონისძიებების გამოყენება ვრცელდება იმ ბავშვებზე, რომლებმაც ჩაიდინეს მსუბუქი დანაშაულებები, როგორიცაა მაღაზიაში წვრილმანი ქურდობა და სხვა ქონებრივი დანაშაული, რომელსაც მოჰყვა მცირე ზარალი და არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა დანაშაული. ამ ღონისძიებებში შედის სხვადასხვა სახის ოჯახური მხარდაჭერაც საზოგადოებრივ ბაზაზე, განრიდებისა და აღდგენითი მართმსაჯულების პროგრამებიც. არასრულწლოვნების მიმართ ასეთი მიდგომა დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ სტიგმატიცაზია, რაც კარგ შედეგს მოუტანს არასრულწლოვნებს და საზოგადოებას. ასევე თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანისათვის შეიძლება მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და ისიც დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში.[21]

არასრულწლოვანთა მართმსაჯულებაში, თანდათანობით ყალიბდება ის მიმართულება, რომ უმჯობესია თუ არასრულწლოვანს არათუ დავსჯით და თავისუფლებას აღუკვეთავთ, არამედ თუ დავაფიქრებთ თავის ქმედებაზე, მივახვედრებთ მის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმეზე. ეს მიდგომა აღსანიშნავია, რომ დღითიდღე ვითარდება და მყარდება.

დღევანდელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა სასამართლოები, გამძაფრებულია სამართლებრივი დაცვა

[21].იქვე გვ. 46

არასრულწლოვანთა მიმართ და უზრუნველყოფილია ყველა არასრულწლოვნის უფლებები მაღალ დონეზე. არასრულწლოვანთა მიმართ სპეციალური სამართლებრივი დამცავი რეჟიმი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით: პირდაპირი პროტექციონიზმი, (მაგალითად, შემცირება, მხოლოდ არასრულწლოვნების შემთხვევაში, ისიც სისსხლის სამართლის მუხლზე მითითებით გარკვეული ზომით სასჯელის შემცირება). დამატებითი სამართლბრივი დაცვა ცალკეულ არასრულწლოვანი ჯგუფების მიმართ. (მაგალითად რუსეთის სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით აუცილებელია მასწავლებლის მონაწილეობა არასრულწლოვანის დაკითხვისას, 14 წლამდე ასაკის პირის დროს).

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესები დახურულია არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულზე და არა კონკრეტულ რომელიმე დანაშაულზე. ეს ყველაფერი კი არასრულწლოვნის საკეთილდღეოდ ხდება.

-არასრულწლოვანთა სავალდებულო საგანმანათლებლო ღონისძიება არასრულწლოვნების მიმართ გატარებული ერთ-ერთი პრევენციული ღონისძიებაა, როგორც სასჯელი.

არასრულწლოვანთა სამართლებრივი დაკავება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკეული პრინციპია და არასრულწლოვანთა მართმსაჯულების განვითარებას ემსახურება. ისინი, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, დაკავებული არიან საგანმანათლებლო ღონისძიებებით, ამით ისინი ცოდნასაც იძენენ რაც შემდეგ ეხმარებათ ცხოვრების გაგრძელებაში და ადამიანურად ჩამოყალიბებაში.

-სოციალური ინტენსივობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი პრინციპია. არსი ამ პრინციპის ფართოდ გამოიყენება სასამართლო პროცესებზე, ამ შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია არასრულწლოვანთა სოციალური პირობების შესწავლაზე, სასამართლოს წინაშე არასრულწლოვნების სოციალური და ფსიქოლოგიური ნიშნების შესწავლა- გამოკვლევაში მონაწილეობს სხვადასხვა მხარეები და პირები, ეს პრინციპი უფრო ზუსტად ითვალისწინებს თუ რა სოციალურ პირობებში უწევდა არასრულწლოვანს ცხოვრება, როგორი გარემო იყო

მის მიმართ. აქ მოიაზრება თუ რა საზოგადოებასთან უწევდა კონტაქტი, რა გარემო-პირობებმა უბიძგა მას დანაშაულის ჩადენისაკენ და ა. შ.

მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემოს შესწავლის შემდეგ სასამართლოს უფრო ადვილად შეუძლია დაუნიშნოს იმ სასჯელის ფორმა რომელიც არასრულწლოვანს დაეხმარება ნორმალურ ადამიანად ჩამოყალიბებაში და იმ დანაშაულის გააზრებაში, რომელიც ჩაიდინა და რომლისთვისაც ისჯება. სასამართლომ ამ შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს ამ არასრულწლოვნის იმ სოციალური გარემო-პირობებიდან იზოლირება, რამაც მას უბიძგა ამ დანაშაულის ჩადენისაკენ. სოციალური გარემოს შესწავლა თავისთავად მოიცავს წინა პრინციპსაც ანუ საგანმანათლებლო ღონისძიებას, მაშასადამე, სოციალური პირობების შესწავლისას უნდა შემოწმდეს თუ რა განათლებისაა ის ადამიანი და შესაბამისად შეიძლება გამოყენებული იქნას მის მიმართ სავალდებულო საგანმანათლებლო ღონისძიებები. [22]

არასრულწლოვანთა მიმართ სასამართლოებს დიდი დაკვირვება მართებთ, რადგან ადამიანის მომავალზეა საუბარი, კერძოდ კი არასრულწლოვანზე. რომლის ადამიანურად ჩამოყალიბება სწორედ ამ ეტაპიდან იწყება და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უშუალოდ ზეგავლენას მოახდენს მის მომავალზე, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პირი რომელიც განახორციელებს ისეთ სპეციალურ ღონისძიებებს, რაც მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის არის გათვალისწინებული, სპეციალიზირებული იყოს ამ კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს იმის საფრთხე, რომ პროცესი ხარვეზებით წარიმართოს, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს არასრულწლოვნის ინტერესები. აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი #10 კომენტარით, რომელიც რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვნებისთვის შექმნან ცალკე სასამართლოები, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლეების დანიშვნა.[23]

---

[22].Принципы ювенальной юстиции , ხელმისაწვდომია: http://www.labex.ru/page/g14_uvenpr_41.html (მოძიებულია.....)

[23]. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 93

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას უნდა ახორციელებდეს მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები.

§3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი მოდელები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ანუ იუვენალური მართლმსაჯულება, როგორც სოციალური ინსტიტუტი გახდა განვითარებული მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. განვითარების მიზეზი კი იყო დაუჯერებელი ზრდა ბავშვთა, არასრულწლოვანთა, დანაშაულებისა.

პირველი არასრულწლოვანთა სასამართლო გაიმართა შტატ ილინოისში (აშშ) 1899 წელს. ყოველი ახალი არასრულწლოვნის სასამართლო პროცესი ტოვებდა ყოველთვის სხვადასხვა გაგებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, მაგრამ მალევე დაიწყო იუვენალურმა მართლმსაჯულებამ განვითარება და უკვე 1931 წელს არასრულწლოვანთა სასამართლო არსებობდა 30 ქვეყანაში.[24]

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების არასრულწლოვნებთან მიმართებაში ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა იუვენალური მართლმსაჯულების სხვადასხვა მოდელები, პარადიგმები, სტრატეგიები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პროცესუალური სპეციფიურობითა და მიზნობრივი დანიშნულებით, ზოგიერთი მეცნიერი გვთავაზობს დავყოთ იუვენალური მართლმსაჯულების მოდელები ორ სახედ:

- -კონტინენტური მოდელი
- -ანგლოსაქსური მოდელი

მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ ეს ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებაა, ხოლო ზოგიერთი მეცნიერი კი კიდევ სხვა სახეებად ყოფს, ანუ უმატებს მესამე მოდელს, რომელიცაა - სკანდინავიური ანუ ევროპული მოდელი.

[24].Гамаюнова А., модели институтаювенальной юстиции
ხელმისაწვდომია: http://pedagogika.snauka.ru/2014/06/2442 (მოძიებულია .....)

ამასთან კონტინენტური მოდელის მაგალითად გამოდგება იუვენალური მართლმსაჯულების ფრანგული სისტემა, ხოლო ანგლოსაქსურ მოდელად - აშშ-ის აბსტრაქტული მოდელი.

ფრანგულ იუვენალურ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს აღმზრდელობითი ზემოქმედების სხვადასხვა ზომები (მაგალითად დაზარალებულთან ურთიერთობის აკრძალვა) იმ არასრულწლოვნებთან მიმართებაში , რომელთაც მიაღწიეს 10 წლის ასაკს, ხოლო ამერიკული მოდელი ხასიათდება ოპერატიულობით და პროცესის სიმარტივით, მაგრამ ორივე მოდელის შემთხვევაში ძალიან დიდი რისკი არსებობს არასრულწლოვანი დამნაშავეების უფლებების შელახვის, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც დღევანდელ დღეს აქტიურად მიმდინარეობს იუვენალური მართლმსაჯულების დაჩქარების ალტერნატიული გზების ძიებისას.

შოტლანდიის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მაგალითი გვიჩვენებს რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს ორივე მოდელის პრინციპების სინთეზი.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით იუვენალურ მართლმსაჯულებაში ანუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შეიძლებაში გამოვყოთ ე.წ. კარატელური მოდელი, რომელიც არაფრით არ განსხვავდება სრულწლოვან დამნაშავეთა მართლმსაჯულებისაგან, რომელსაც საფუძვლად უდევს დამნაშავეობაზე სრული კონტროლი და არავითარ ალტერნატიულ ღონისძიებებს არ ითვალისწინებს.

მეორე მოდელი ე.წ. რეაბილიტაციის მოდელი, რომლის კრიმინოგენური იდეაა ის, რომ დამნაშავეებს არ შეუძლიათ სრულად აგონ პასუხი თავიანთ ქმედებებზე, გამოწვეული ინდივიდუალური თუ სოციალური ფაქტორებით. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მოდელი მთლიანად მორგებული და ორიენტირებულია არასრულწლოვნის პიროვნებაზე, მის რეაბილიტაციაზე, მასში არის დიდი რისკი, რომ მათი უფლებები შეილახოს. მაგალითად მოსამართლეს შეუძლია არასრულწლოვანი დამნაშავე რეაბილიტაციისათვის მოათავსოს დახურულ გამოსასწორებელ დაწესებულებაში განუსაზღვრელი ვადით. მოცემული მოდელისათვის დამახასიათებელია მოსამართლეების და პრობაციის სამსახურის თანამშრომლებისაგან ფართო დისკრეციული უფლებამოსილებები, თუმცა ყველა შემთხვევებში, იუვენალური მართლმსაჯულების ნებისმიერი მოდელი არის აბსტრაქტული თეორიული მოდელი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გავერკვეთ

იუვენლური მართლმსაჯულების აზრსა და დანიშნულებაში, რათა შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები სხვადასხვა მოდელების პრაქტკული გამოყენებისას.[25]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება რეალიზებულია მრავალ ქვეყანაში, როგორც წესი ის ყოველთვის დაფუძნებულია საერთაშორისო აქტებზე, გაეროს წესდებებზე- ადამიანის უფლებების მხრივ და გაეროს კონვენციის ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც 1989 წელს მიიღეს.

ძირითადად დღეისათვის იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამ მოდელს:

- ანგლო-ამერიკულს,
- კონტინენტალურს,
- სკანდინავიურს,

პრაქტიკულად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არასრულწლოვანთა დანაშაულს განიხილავენ არა როგორც ობიექტს რეპრესიისათვის, არამედ, როგორც სოციალური რეაბილიტაციის სუბიექტს, მაგრამ არის გამონაკლისებიც.

ანგლო-ამერიკული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოდელი გულისხმობს, რომ ინგლისში და უელსში ბოლო წლებში (1997 წლიდან ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ლეიბორისტები, რომლებმაც დაიწყეს რეფორმები, მათ შორის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში) შეინიშნებოდა კანონდამრღვევ არასრულწლოვანთა დასჯის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციის სისტემები.

90-ინი წლების დასაწყისში მთელ დიდ ბრიტანეთში გასკდა საქმე 2 წლის ბავშვის მკვლელობის შესაახებ, მკვლელები იყვნენ ორი 10 წლის ბიჭუნები, რომლებიც გაასამართლეს უმაღლეს სასამართლოში ოფიციალური კანონით, რის შედეგადაც ამ ბიჭებს მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა. ამ პრეცედენტის შემდეგ სადამსჯელო მიდგომა ამ არასრულწლოვანი კანონდამრღვევების მიმართ იქნა აქტიურად პროპაგანდირებული ხელისუფლების დონეზე.

1993-1994 წლებში მიღებული იქნა ნორმატიულ-უფლებრივი აქტები, რომლებიც ამტკიცებდნენ სასჯლის ზომებს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ

[25]. Марковичева Е., модели ювенального судопроизводства проблемы типологизации, ხელმისაწვდომია:http://vestnik.osu.ru/2010_3/21.pdf, (მოძიებულია.....)

და ორჯერ ადიდებდნენ ხანგრძლივობას დანაშაულებებისათვის გამოსასწორებელ კოლონიებში, დაწესებულებებში. მსგავსი კანონმდებლობის შედეგები აღმოჩნდა ძალიან ნეგატიური, რის შემდეგაც ლეიბორისტებმა მიიღეს ახალ-ახალი რეფორმები.

კანონდამრღვევი არასრულწლოვნები ახალი სისტემის მიხდვით კლასიფიცირებული იყო იმის მიხედვით, თუ როგორი მძიმე იყო კანონის დარღვევა მათი მხრიდან. აგრეთვე ყურადღება ექცეოდა განმეორებითობას. ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო დანაშაულის პროპილაქტიკისათვის. სამართლიანობის და კანონიერების შესრულება დამოკიდებული იყო საერთაშორისო კომისიაზე, რომლებიც მუშაობდნენ არასრულწლოვანთა განხრით, დღესდღეობით ინგლისში არსებობს 156 კომისია, რაც იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად მრავალგვარია არასრულწლოვანთა საქციელების და საჭიროების მოდელები. კომისიები მუშაობენ სოციალურ მუშაკებთან და მუნიციპალიტეტის სამსახურის პედაგოგებთან ერთად, ასევე პრობაციის ინსპექტორებთან, პოლიციელებთან, ფსიქიატრებთან და ბავშვთა ნარკოლოგებთან ერთად. ამგვარად დღესდღეობით ინგლისში ეს კომისიები კანონდამრღვევ არასრულწლოვნებს სთავაზობს რიგ საზოგადოებრივ მომსახურეობებს, ასევე ატარებენ საპროფილაქტიკე სამუშაოებსაც და ბოლოს ამზადებენ სასამართლოებისათვის მოხსენებებს, რომელშიც შეტანილია მოზარდის ცხოვრებისა და ქმედების ანალიზი, ასევე ის, რომ კომისია ზედამხედველობას გაუწევს კანონდამრღვევ არასრულწლოვანს.

დიდ ბრიტანეთში მოსამართლეებს მიეცათ სანქციის დიდი არჩევანი, რომელსაც გამოიყენებენ ახალგაზრდების მიმართ. ესენია: კომენდატის საათი, გაფრთხილებები, აღმზრდელობითი სამუშაოები, საზოგადოებრივად სასარგებლო (არაანაზღაურებადი) სამუშაოები და ასევე მძიმე კატეგორიის დანაშაულებისათვის გამოსასწორებელ კოლონიებში ჩასმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროინდელი შედარებით, მკაცრი ზომები ატარებენ დაბალი რეაბილიტაციის ეფექტს, რეციდივების პროცენტი მათ შემდეგ მნიშვნელოვნად დიდია.

2009 წელს მიღებული იქნა ახალი კანონი, რომელიც აძლევდა საშუალებას არასრულწლოვან კანონდამრღვევს აენაზღაურებინა ზარალი დაზარალებულისათვის, ამ შემთხვევაში მოსამართლეებმა უნდა დაასაბუთონ

გამოყენებული სასჯელი. რეფორმების დაწყებიდან 5 წლის შემდეგ აღინიშნა, რომ ახლად შემოღებული წესები წარმოადგენს ხარისხიან ახალ მოდელს, რეციდივების რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ დაკეტილი იქნა არასრულწლოვან დამრღვევთა 3 გამოსასწორებელი კოლონია.

იაპონური მართლმსაჯულება ანუ კონტინენტალური მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიმართ სულ სხვაგვარია. იაპონიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას არ იცნობს სისხლის სამართალი. სისხლის სამართლის სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს საქმეს თუ მოზარდი 16 წლისაა ან თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან გვაქვს შეხება, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ან სიკვდილით დასჯა, ან კიდევ თავისუფლების აღკვეთა სამუდამო პატიმრობით, ასე რომ იაპონურ მართლმსაჯულებაში კანონდამრღვევ არასრულწლოვნებზე არ ვრცელდება რაიმე სახის სანქციები, შეიძლება განხორციელდეს მათ მიმართ მხოლოდ საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, ამასთანავე კანონდამრღვევი არასრულწლოვნების სასამართლო პროცესები დახურულია და კონფიდენციალურობა დაცულია. მხოლოდ 2000 წლიდან დაზარალებულს მიეცა პროცესზე დასწრების უფლება.

არასრულწლოვანთა სასამართლოებს იაპონიის მართლმსაჯულების თანახმად განიხილავს საოჯახო სასამართლო, სასამართლო პროცესამდე ანუ საქმის სასამართლოზე განხილვამდე, პრობაციის მუშაკები ამზადებენ დეტალურ ანგარიშს, ხშირად არც კი იწყება სასამართლო განხილვა ანუ საქმის გაცნობა, რადგან მათი მართლმსაჯულების თანახმად თუ კანონდამრღვევი არასრულწლოვანი დროებით იმყოფებოდა დაკავებული, უკვე განიხილება დაკავება, როგორც საკმარისი საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო ღონისძიება, სხვა შემთხვევაში კი განიხილება სასამართლოში კანონდამრღვევი არასრულწლოვნის საქმე პრობაციის მუშაკების დაწვრილებითი ანგარიშის წარდგენის შემდეგ და კანონდამრღვევი არასრულწლოვანი გაგზავნილი იქნება აღმზრდელობით და სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. აღმზრდელობით დაწესებულებაში გაგზავნა საზოგადოების თვალში იაპონიაში ტოლია როგორც საპატიმრო დაწესებულებაში გაგზავნასთან,

ასევე სასამართლოს შეუძლია კანონდამრღვევი არასრულწლოვანის მიმართ არ გამოიტანოს რაიმე სანქცია და სასამართლო დარბაზიდან გაანთავისუფლოს, მაგრამ როგორც გამოკვლევებმა და სტატისტიკამ აჩვენა, რომელიც ბოლო წლებში ჩაატარა ტოკიოს უნივერსიტეტმა, კანონდამრღვევი არასრულწლოვნების რიცხვი, დღითიდღე იზრდებოდა, დანაშაული თანდათანობით სერიოზულდებოდა და რთულ სახეს ღებულობდა, ანუ თანდათანობით მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები მატულობდა.

ამჟამად იაპონიის მართლმსაჯულება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მეტი საფუძვლიანი შესწავლა კანონდამრღვევი არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის და შესაბამისად სადამსჯელო სანქციების დაწესებისა.

სკანდინავიური ანუ ევროპული მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიიმართ მსგავსია ამერიკული მართლმსაჯულების სისტემისა. აქ ერთ მეტად საინტერესო რამეს წავაწყდებით, შუამავლობით თვისებას, ანუ მედიაციას, რაც მსხვერპლთან ანუ დაზარალებულთან შერიგებას გულისხმობს, რითაც ევროპული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი ორი ტიპის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისაგან.

ზოგიერთ ევროპულ ქვეყნებში მედიაციის ინსტიტუტს კანონმდებლობა არეგულირებს და საკანონმდებლო დონეზეა განვითარებული. ზოგიერთ ქვეყნებში კი არ გამოიყენება, არ ფუნქციონირებს მედიაციის ინსტიტუტი, შესაბამისი სტრუქტურული ორგანიზაციები არ არსებობს. მაგალითად პოლონეთში, რუმინეთში, და ჩეხეთში. ევროპული მართლმსაჯულების თანახმად მედიაციის ინსტიტუტი ითვალისწინებს პროცესის გაუმართავად, საქმის განუხილველად და შესაბამისი სანქციის გარეშე დაზარალებულთან შერიგებას. ინგლისში, ირლანდიაში და ნიდერლანდებში მედიაციასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტს პოლიცია, გერმანიაში- სახელმწიფო ბრალმდებელი, ამას გარდა სახელმწიფო ბრალმდებელს ან სასამართლოს შეუძლია შეწყვიტოს, შეაჩეროს სასამართლო განხილვა საქმის, ამ დროს კანონდამრღვევი არასრულწლოვანმა შეიძლება შეასრულოს სამუშაო დაზიანების ასანაზღაურებლად, რის შემდეგაც სასამართლოზე მისი საქმის განხილვა შეწყდება საბოლოოდ თუკი კანონდამრღვევი არასრულწლოვანი სრულად აანაზღაურებს დაზიანებას.

შოტლანდიაში, ბულგარეთში და ესტონეთში კანონდამრღვევი არასრულწლოვანი შეიძლეება გაუშვან სოციალურ დაწესებულებაში, სადაც გადაწყდება საკითხი უნდა გაიგზავნოს თუ არა საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საქმის განხილვისას სასამართლოს შეუძლია მიიღოს სხვადასხვა სახის სანქციები, როგორც ინგლისში, განსაკუთრებით კი დიდი ყურადღება ეთმობა იმ სანქციებს, რომლებიც საგანმანათლებლო მნიშვნელობისაა, ხოლო სანქციის სახით ჯარიმას ზოგიერთ ქვეყნებში მაგალითად: ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, იტალია, პოლონეთი, შოტლანდია, სერბია, ესპანეთი არაქვს პრაქტიკული გამოყენება სკანდინავიურ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რადგან არასრულწლოვანი მოიაზრება, რომ ჯერ არაქვს თავისი ფული, ხოლო ფინლანდიაში არსებობს და გამოიყენება კანონდამრღვევი არასრულწლოვნების მიმართ ჯარიმა სასჯელის სახედ და თანხის ოდენობა განისაზღვრება იმის პროპორციულად თუ რა თანხა გადის არასრულწლოვნის ჯიბიდან, ანუ დანახარჯის შესაბამისად. ჩეხეთის რესპუბლიკაშიც არსებობს ჯარიმა, ოღონდ აქ კიდევ უფრო განვითარებულია ეს სისტემა და დასაშვეებია კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიერ ჯარიმის გადახდა დაგვიანებით.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ევროპული სისტემის ქვეყნებისათვის ეფექტური აღრმოჩნდა, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის უფლებასთან და ხაზი გასმულია კანონდამრღვევი არასრულწლოვნის პიროვნულობაზე. ამავე დროს ევროპის ქვეყნებში საკმაოდ მრავალფეროვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოდელები, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერმა სახელმწიფომ აირჩიოს მისთვის უფრო ეფექტური მოდელი და განახორციელოს თავის სახელმწიფოში.[26]

[26].Данилова М, Три модели ювенальной юстиции: международный опыт, ხელმისაწვდომია:http://territoriaprava.ru/topics/7137 (მოძიებულია.....)

თავი II. არასრულწლოვანთან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამართალში

§1. სასჯელის სახეები და სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებები

სასჯელი ანუ კანონის რეაქცია დანაშაულზე. დანაშაული კი როგორც ვიცით სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებით არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. დანაშაულს ყოველთვის მოჰყვება სასჯელი, თუმცა ეს მხოლოდ მას შემდეგ რაც შეიქმნა სისხლის სამართლის კოდექსი, ხოლო მანამდე მოქმედებდა პრინციპი თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ და ასე უსწორდებოდნენ დამნაშავეებს დასასჯელად.

დანაშაულები როგორც ვიცით არის სამი სახის მისი სირთულიდან გამომდინარე და შესაბამისად სასჯელებიც არის სხვადასხვა სახის. სასჯელის სიმძიმე დამოკიდებულია პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე. ეს საერთო პრინციპია როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნების შემთხვევაში.

სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს დანაშაულის რამდენიმე სახეს და კატეგორიას: არსებობს ნაკლებად მძიმე დანაშაული, მძიმე დანაშაული და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და სასჯელიც სწორედ ამ კატეგორიათა მიხედვით ეკისრება დამნაშავეს. სწორედ ამიტომ, გამომდინარე იქედან, რომ არსებობს დანაშაულიის სახეები და კატეგორიები, არსებობს სასჯელის ზომები რაც ნიშნავს იმას, რომ გარკვეული ზომის დანაშაულზე ვრცელდება, გარკვეული ზომის სასჯელი.

მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს მთელ რიგ გარემოებებს, როგორიცაა მაგალითად პირის ნასამართლობა, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, პიროვნების ფსიქიკური, სოციალური, გონებრივი მდგომარეობა, დანაშაულის ჩადენის ხერხები, დანაშაულის ჩადენის მიზეზები, მოტივი და ა.შ. და დანაშაულის სირთულიდან გამომდინარე გამოაქვს პიროვნებისათვის შესაფერისი სასჯელი.

როგორც სრულწლოვნების, ასევე არასრულწლოვნების შემთხვევაშიც დანიშნული სასჯელის მიზანია პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

ძველი ქართული სამართლის მიხედვით, სასჯელის მიზანი იყო არა მხოლოდ დამნაშავის გამოსწორება, არამედ ამ დამნაშავეთაგან საზოგადოების განწმენდა და ამ უკანასკნელთათვის ფიზიკური ვნების მიყენება. საზოგადოების დამნაშავეთაგან განწმენდა ხდებოდა თემიდან ან სოფლიდან დამნაშავის გაძევებით.

2000 წელს იყო პირველი მცდელობა, არასრულწლოვანთა სასჯელისაგან განრიდების პროგრამა, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდებულ ან დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვანთა ნაწილის მიმართ, პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმების გამოყენებას გულისხმობდა. კერძოდ, ჩადენილი დანაშაულის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდის სანაცვლოდ, არასრულწლოვნის რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებებში ჩართვას. თუმცა დღესდღეობითაც უამრავ არასრულწლოვანს ვაწყდებით ციხეში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება იცნობს სასჯელის ორ სახეს, როგორც ძირითად სასჯელებს ასევე დამეტებით სასჯელებს. ძირითად სასჯელთან ერთად დასაშვებია მხოლოდ ერთი დამატებითი სასჯელის დანიშვნა, სასჯელთან ერთად დასაშვებია განრიდების ღონისძებით გათვალისწნებული ერთი ან რამდენიმე ღონისძიების დანიშვნა, როგორიცაა:

- წერილობითი გაფრთხილება;
- აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის განრიდება-მედიაციის პროგრამა;
- მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
- უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა;
- დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსათვის გადაცემა;
- მოვალეობის დაკისრება;
- მინდობით აღსაზრდელად გადაცემა.

ძირითადად კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება იცნობს შემდეგი სახის სასჯელებს:

- ჯარიმა;
- შინაპატიმრობა;
- საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
- თავისუფლების შეზღუდვა;
- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

ჩამოთვლილი სასჯელებიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასრულწლოვან დამნაშავეს ძირითად სასჯელად შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

ხოლო ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, შინაპატიმრობა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება არასრულწლოვან პირს დაენიშნოს, როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

<u>ჯარიმა</u>

არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან.

არასრულწლოვნისათვის ჯარიმის დანიშვნისას ნახევრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები.

<u>შინაპატიმრობა</u>

შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის მის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში.

შინაპატიმრობა ინიშნება ექვსი თვიდან ერთ წლამდე ვადით.

შინაპატიმრობა შეიძლება დაინიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.

შინაპატიმრობა უნდა დაინიშნოს ისე, რომ მისმა ასრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

შინაპატიმრობის ზედამხედველობა, როგორც წესი, ხორციელდება ელექტრონულად.

<u>საქმიანობის უფლების ჩამორთმევა</u>

არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება ერთიდან სამ წლამდე.

<u>საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა</u>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არასრულწლოვნის მიმართ ინიშნება ორმოციდან სამას საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემეტებოდეს ოთხ საათს.

თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, ან თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დამატებითი სასჯელის სახით გამოყენების შემთხვევაში ის შეიძლება დაინიშნოს უფრო მცირე ვადითაც.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არასრულწლოვნის მიმართ უნდა დაინიშნოს ისე, რომ მისმა ასრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას, მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასურველია, სამუდამოდ გამწესდეს ისეთ ადგილზე სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებას და უნარებს შეიძენს.

არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახით გათვალისწინებული არ არის.

<u>თავისუფლების შეზღუდვა</u>

არასრულწლოვნის თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალური ვადაა სამიწელი.

<u>ვადიანი თავისუფლების აღკვეთა</u>

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვანს თუ მან ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ან თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს, ანდა მის მიმართ წარსულში გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთი მესამედით. ამასთანავე, საბოლოო სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ წელს.

<u>პირობითი მსჯავრი</u>

თუ არასრულწლოვანმა, რომელიც არ ყოფილა მსჯავრდებული განზრახი დანაშაულისათვის, ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად.[27]

ალტერნატიულ სასჯელებს დიდი როლი აქვს სისხლის სამართალში. მათი გამოყენება ხელს უწყობს დამნაშავე პირის რესოციალიზაციას. არასაპატიმრო სასჯელები ეფექტურია იმ კუთხით, რომ მსჯავრდებულს ეძლევა თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული გზა, ასევე გარე სამყაროსთან ურთიერთობის შესაძლებლობა, საშუალება, რომ არ მოსწყდეს საკუთარ ოჯახს, მეგობრებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს არასრულწლოვნებისთვისაა, რაც ხელს უწყობს მათ სოციალიზაციას.

დროთა განმავლობაში ამ სახის სასჯელების გამოყენების მაჩვენებელი იზრდებოდა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, რაც დადებითად უნდა იქნეს შეფასებული. თუმცა არსებობს მაინც გარკვეული პრობლემები, რომელიც უფრო მეტი დატვირთვით ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას უკავშირდება. საპატიმრო სასჯელების შემცირება მნიშვნელოვანია არამხოლოდ დამნაშავისათვის, რომელსაც საზოგადოებისათვის ნაკლებად საშიში დანაშაული აქვს ჩადენილი დაიმსახურებს შედარებით მსუბუქ სასჯელს, ასევე სახელმწიფოსათვის, რადგან იგი დაზოგავს ციხის პირობებში პატიმართა შენახვის ხარჯებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ძალიან მაღალია, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა საქართველო, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში პატიმართა რაოდენობამ არნახულ მაშტაბებს მიაღწია, მათ შორის არასრულწლოვანმა პატიმრებმაც, მართალია ბოლო პერიოდში განხორციელდა მასობრივი ამინისტია, მაგრამ ეს არ ცვლის ვითარებას, საჭიროა მოიძებნოს და დაინერგოს ალტერნატიული სასჯელები. დაუშვებელია ადამიანს, რომელსაც მსუბუქი ხასიათის დანაშაული აქვს

[27]. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებკანონი, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/law/8688/19791 , გვ.33-36, (მოძიებულია.....)

ჩადენილი წლებით მოუხდეს სასჯელაღრსრულების დაწესებულებაში დროის გატარება.

§2 ნასამართლობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონის 50-ემუხლის თანახმად, არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანი პირის რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია უნდა იყოს. [28] ამავე კანონის თანახმად, არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მკაცრად კონფიდენციალურად და მიუწვდომელი იყოს მესამე მხარისათვის.[29]

კანონის თანახმად არასრულწლოვნის ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობითი მსჯავრის შემთხვევაში-გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ნასამართლობის დაუყონებლივ გაქარწყლება უფრო მეტად დაეხმარება პირის რეაბიილიტაცია-რესოციალიალიზაციას და მის მიერ დანაშაულის განმეორების რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს. ლოგიკური და ჰუმანურია, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული არ უნდა იქნეს აღქმული ისე მძიმედ, როგორც სრულწლოვნის მიერ ჩადენლი, ასეთი მიდგომა სრულებით გამართლებულია, ემსახურება რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანს და შესაბამისად, საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესს და სრულად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. თუმცა კანონპროექტის თანახმად, ზემოთაღნიშნული შეღავათი არ იმოქმედებს, თუკი პირი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობითი მსჯავრდებისას - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას-სასჯელის მოხდიდან ექვსითვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

[28]. იქვე მუხლი 50
[29]. იქვე მუხლი 57

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას- სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

ევროპული წესების თანახმად, არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული სანქციისა თუ ღონისძიების დასრულებისთანვე უნდა განადგურდეს მისი საქმის მასალები ან მოხდეს მისი დაარქივება, სადაც ინორმაციაზე ხელმისაწვდომობა იქნება მკაცრად შეზღუდული იმგვარად, რომ ინფორმაცია დაცული იყოს გამჟღავნებისაგან.[30]

ეს ეხება რათქმაუნდა არასრულწლოვნის ნასამართლობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებას.

წინა თავში სადაც საუბარი გვქონდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპებზე, კერძოდ კი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ პრინციპზე, ვახსენეთ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, იმისათვის, რომ ახალგაზრდამ შრომის ბაზარზე უპრობლემოდ დაიმკვიდროს თავი, სახელმწიფოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას არ ჰქონდეს ვალდებულება დამსაქმებელს გაუმჟღავნოს საკუთარი ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოს სპეციფიკა სხვაგვარად მოითხოვს.[31]

არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ კანონი მოითხოვს, რომ არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია დახურული იყოს მესამე მხარეებისთვის და შენახული იქნას მკაცრად საიდუმლოდ.[32]

---

[30]. ევროპული წესები, ხელმისაწვდომია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:blmaH8aqDyIJ:www.ombudsman.ge/uploads/other/1/1106.pdf+&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=firefox-a#26, (მოძიებულია.....)

[31]. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია. წესი 12

[32]. არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ კანონი, მუხლი 57, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/law/8688/19791 (მოძიებულია.....)
ასევე პეკინის წესები, წესი 21, ხელმისაწვდომია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:blmaH8aqDyIJ:www.ombudsman.ge/uploads/other/1/1106.pdf+&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=firefox-a#26, (მოძიებული.....)

§3. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება იცნობს ასევე ისეთ შემთხვევებს, როდესაც არასრულწლოვანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ასეთი შემთხვევები მრავლადაა:

– არასრულწლოვანი კანონდამრღვევი თავისუფლდება სისხლის–სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ არსებობს განრიდების პროგრამის განხორციელების შანსები;

– არასრულწლოვანი კანონდამრღვევი გათავისუფლდება სისხლის–სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ხანდაზულობის ვადის გასვლის გამო;

– არასრულწლოვანი კანონდამრღვევი გათავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის ვადის გამო;

– არასრულწლოვანი კანონდამრღვევი გათავისუფლდება სისიხლის–სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეზღუდული შერაცხადობის გამო.

მაგრამ უპირველეს ყოვლისა არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, ანუ დგება საკითხი არასრულწლოვნის მიმართ განრიდების შესაძლებლობის და ამ დროს ხდება შეფასება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

პროკურორი უფლებამოსილია ასეთ შემთხვევაში მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების, ან უკვე დაწყებული დევნის შეწყვეტისა და არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განრიდების შესახებ.

ასევე არასრულწლოვანი კანონდამრღვევი პირი განთავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ გასულია ხანდაზმულობის ვადები, კერძოდ კი თუ გავიდა:

ა) ერთი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) სამი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ხუთი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

დ) თორმეტი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.[33]

კანონდამრღვევი არასრულწლოვანი ასევე თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო, ანუ ეს ნიშნავს, რომ მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

ა) ერთ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) სამ წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) ხუთ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) შვიდ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.[34]

ასევე კანონდამრღვევი არასრულწლოვანი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება თუ დადგინდება რომ კანონდამრღვევი არასრულწლოვანი დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში.[35]

ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება იცნობს ისეთ ღონისძიებებსაც, როდესაც კანონდამრღვევი არასრულწლოვანი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე თავისუფლდება, ანდა შესაძლებელია სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეცვლა.

---

[33].არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ კანონი, მუხლი 35, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/law/8688/19791 (მოძიებულია.....)

[34]. იქვე, მუხლი 36

[35]. იქვე მუხლი 37

კანონდამრღვევი არასრულწლოვანი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის- თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

იმ შემთხვევაში, როცა დგება საკითხი კანონდამრღვევი არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლებისა, აუცილებელია, რომ არასრულწლოვნის მიერ მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ იყოს 3 თვეზე ნაკლები, ამის შემდეგ უკვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტი აცნობებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს არასრულწლოვნის შესაძლო განთავისუფლების შესახებ. სააგენტო შემდგომ შეისწავლის არასრულწლოვნის ქცევას, მისი საპატიმროში ყოფნის დროს, წარსულში მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, ოჯახურ მდგომარეობას და სხვა მრავალ გარემოებებს და ყოველივე ამის შესაწავლის შემდეგ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება არასრულწლოვანი პირის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან არგათავისუფლების შესახებ. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ასევე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის არასრულწლოვნის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ მისაღებ ზომებს.

ხოლო, რაც შეეხება სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეცვლას, ეს დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა:

ა) კანონდამრღვევმა არასრულწლოვანმა მოიხადა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მეოთხედი.

ბ) კანონდამრღვევმა არასრულწლოვანმა მოიხადა მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მეოთხედი.

გ) კანონდამრღვევმა არასრულწლოვანმა მოიხადა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი.

თუ ზემოთ ჩაოთვლილი პირობები იარსებებს შესაძლებელია ამ გამონაკლისების დაშვებაც, ესეც რათქმაუნდა არასრულწლოვანის მიმართ გადადგმულ დადებით ნაბიჯად უნდა შეფასდეს.

აქვე უნდა შევეხოთ არასრულწლოვნის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოშვებასაც, რაც რიგ ფაქტორებს მოიცავს და მათი დაცვა აუცილებლად სავალდებულოა არასრულწლოვნის მომავალი ცხოვრებისათვის.

როდესაც კანონდამრღვევი არასრულწლოვნის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსვლამდე დარჩენილია 3 თვე დაწესებულება ამის შესახებ ატყობინებს არასრულწლოვანს, კანონიერ წარმომადგენელს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ,, დანაშაულის პრევენციის ცენტრს'', რომლის წარმომადგენლებიც ხვდებიან არასრულწლოვანს, გებულობენ მის ჩართულობას დაწესებულებაში ყოფნის დროს სხვადასხვა პროგრამებში. ყოველივე ეს კი სჭირდებათ რათა გაუადვილონ არასრულწლოვანს საზოგადოებასთან დაბრუნება და ადგენენ კანონდამრღვევი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმას, რომელიც კანონდამრღვევი არასრულწლოვნის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსვლამდე 2 თვით ადრე უნდა მომზადდეს, რათა არასრულწლოვანიც გაეცნოს მას. [36]

პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ გარკვეული პერიოდი კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიმართ მიმდინარეობს მეთვალყურეობა, კონკრეტულად კი მიმდინარეობს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ კოორდინაცია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის შესრულებაზე, სულ მცირე 6 თვის განმავლობაში სასჯელის მოხდიდან. [37]

არასრულწლოვნის პირადი საქმე დაწყებული მისი დაპატიმრებიდან მის გათავისუფლებამდე ინახება არაუმეტეს 10 წლის ვადით იმ დაწესებულების არქივში

[36] . იქვე, მუხლი 98
[37] . იქვე, მუხლი 99

სადაც არასრულწლოვანი იყო მოთავსებული, ამ ვადის გასვლის შემდეგ კი მისი პირადი საქმე ნადგურდება. [38]

[38] . იქვე მუხლი 97

თავი III. არასრულწლოვანთან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამართლის პროცესში

§1. სისხლის სამართალწარმოება არასრულწლოვნის მიმართ

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებულ პირებს, აქ იგულისხმება პროკურორი, ადვოკატი, გამომძიებელი, პოლიციელი და მოსამართლე. კანონით აკრძალულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზირებულმა პირმა მიიღოს მონაწილეობა. პროცესში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური ტრენინგები გავლილი არასრულწლოვანებთან მიმართებაში. გარდა ზემოთ ნახსენები პირებისა კანონდამრღვევი არასრულწლოვნის პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეცალიზირებული სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და პატიმრობის შესაბამისი დაწესებულების პერსონალი.

სისხლის სამართლის პროცესში არასრულწლოვანი შესაძლოა იყოს როგორც დამნაშავე, ასევე დაზარალებული და მოწმეც. არასრულწლოვნის პროცესი არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელის გარეშე დაუშვებელია.

როდესაც ამათუიმ პირის (არასრულწლოვნის) მიმართ დაიწყება რა სისხლის სამართალწარმოება, პირველ რიგში უნდა დადგინდეს პირის ასაკი, არის თუ არა ის არასრულწლოვანი. შემდეგ კი პროცესში მონაწილე პირები არიან თუ არა სპეციალიზირებული პირები. ასაკის დადგენა შესაძლებელია ნებისმიერი ხელმისაწვდომი მტკიცებულების, მათ შორის, ოფიციალური დოკუმენტის, სამედიცინო ან სოციალური შემოწმების შედეგად მომზადებული დასკვნის, მშობლის ან სხვა პირისაგან მიღებული ცნობების ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სამართალწარმოებისას თუ დადგინდა, რომ პირი არასრულწლოვანია , მაგრამ ვერ დადგინდა მისი ზუსტი ან სავარაუდო ასაკი, უნდა ივარაუდონ, რომ მას არ შესრულებია 14 წელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და 16 წელი - ადმინისტრაციული

პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, ვიდრე არ დაამტკიცებენ საპირისპიროს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დაადგენენ არასრულწლოვანი პირის სავარაუდო ასაკს, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის სავარაუდო ასაკის მინიმალური ზღვარი.[39]

როგორც კი დაადგენენ კანონდამრღვევის ასაკს, არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი წარმოების ეტაპზე ხდება არასრულწლოვნის შეფასება-შესწავლა. ანუ ეს ნიშნავს, რომ შეისწავლიან კანონდამრღვევი არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს. ამ ყველფრის საფუძველზე კი ხდება კანონდამრღვევი არასრულწლოვნის შეფასება, თუ რამ უბიძგა ამ დანაშაულის ჩადენისაკენ, რისი დადგენაც ძალზედ მნიშვნელოვანია კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას.

არასრულწლოვნის შესწავლა-შეფასება სისხლის სამართლის წარმოების ნებისმიერ ეტაპზეა საჭირო. ეს შეიძლება მოხდეს:

ა) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;

ბ) სასჯელის დანიშვნისას;

გ) საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;

დ) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;

ე) პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხის განხილვისას.[40]

კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების დაწყებისას, არასრულწლოვნის დამკავებელმა პირმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა შეატყობინოს არასრულწლოვნის დაკავება მის მშობლებს, ხოლო თუ მშობლებთან დაკავშირება ვერ ხერხდება ახლო ნათესავებს. არის შემთხვევები, როცა სასამართლო საპროცესო წარმომადგენლად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელს ან სხვა სანდო პირს. ეს იმ შემთხვევებში თუ:

ა) შეუძლებელია კანონიერი წარმომადგენელის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან ერთი საათის განმავლობაში;

---

[39] იქვე, მუხლი 26

[40] იქვე, მუხლი 27

ბ) არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონერ წარმომადგენელთან ან/თუ უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან მის მონაწილეობაზე პროცესში;

გ) კანონიერი წარმომადგენელი მოქმედებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინაღმდეგოდ;

დ) არასრულწლოვანი არის მისი კანონიერი წარმომადგენელის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლი ან თვითმხილველი;

ე) კანონიერი წარმომადგენელი ბრალდებულია იმავე დანაშაულის ჩადენაში;

ვ) კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელს, ხოლო სხვა სანდო პირს კი სასამართლო საპროცესო წარმომადგენელად ნიშნავს კანონდამრღვევი არასრულწლოვნის აზრის გათვალისწინებით. ეს სანდო პირი სარგებლობს ყველა იმ-უფლებებით, რაც ეკისრება კანონდამრრვევი არასრულწლოვანის მშობლებს, ამის შემდეგ კანონდამრღვევი არასრულწლოვნის დამკავებელი პირი კანონიერ წარმომადგენელს უკავშირდება და უხსნის საქმის ვითარებას.

რაც შეეხება კანონდამრღვევი არასრულწლოვნის ინტერესების დაცვას, აუცილებელია რომ მას ჰყავდეს ადვოკატი, არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს თავად მოიწვიოს ადვოკატი, ხოლო იმ შემთხვევაში თუ კანონდამრღვევ არასრულწლოვანს არ ჰყავს ადვოაკატი მაშინ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი დაუყოვნებლივ მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით და რათქმაუნდა ეს ადვოკატი უნდა იყოს სპეციალიზირებული არასრულწლოვანთა საკითხში, ანუ უნდა ჰქონდეს შესაბამისი ტრენინგები გავლილი და უნდა გააჩნდეს შესაბამისი სერთიფიკატიც.

ხოლო სასამართლო პროცესს, სადაც არასრულწლოვანი ბრალდებულია, ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დახურული კანონდამრღვევი არასრულწლოვნის ინტერესების დაცვიდან გამომდნარე და მის მიმართ ჩატარებულ ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მისი ადვოკატი.

როგორც ვხედავთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ყოველმხრივ ცდილობს, რომ არ შეიზღუდოს კანონდამრღვევი არასრულწლოვნის უფლებები და

არ გახდეს საჯარო. ასევე, თუ არასრულწლოვან კანონდამრღვევს ბრალი ედება მაგალითად ისეთ საქმეში სადაც სრულწლოვანიც არის ბრალდებული მაშინ არასრულწლოვნის საქმე გამოეყოფა სრულწლოვნისას და ცალკე განიხილება ყველა იმ პირობების გათვალისწინებით, რაც ზემოთ ვახსენეთ.

როგორც კი ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა შესრულდება, საქმე მიეცემა სამართალწარმოებაში და პირველად საქმის განხილვამდე დგება საკითხი არასრულწლოვნის განრიდების პროცესის შესახებ, რათქმაუნდა, თუ მხარეები შეთანხმდებიან იმ პირობებზე, რომლებიც განრიდებისა და მედიაციის პროგრამას უდევს საფუძვლად. განრიდებასა და მედიაციის პროგრამაზე ქვემოთ თავში ვისაუბრებ უფრო დაწვრილებით და კონკრეტულად, ხოლო ახლა მივყვეთ თანმიმდევრობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისხლის სამართლისწარმოებისას, როცა განრიდება-მედიაციის პროგრამის განხორციელება ვერ ხერხდება. აქვე უნდა ავღნიშნო რომ განრიდება-მედიაცის პროგრამაზე შეთანხმება შესაძლებელია წინასასამართლო სხდომამდე და ასევე შესაძლებელია წინასასამართლო სხდომის შემდეგაც თუ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს მხარე განრიდების გამოყენების მიზნით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების შესახებ.

როცა მხარეები უარს განაცხადებენ განრიდება-მედიაციის პროგრამაზე, სისხლის სამართალწარმოება კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიმართ გრძელდება სასამართლო პროცესზე.

კანონდამრღვევი არასრულწლოვანი, ისევ მისი ინტერესების დაცვიდან გამომდინარე, მოთავსებული უნდა იყოს სრულწლოვნებისაგან განცალკავებულ დროებითი მოთავსების იზოლატორში, ასევე ცალ-ცალკე უნდა იყვნენ მოთავსებულები მდედრობითი და მამრობითი კანონდამრღვევი არასრულწლოვნები.

არასრულწლოვნის დაკავებიდან, რაც შეიძლება მალე, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, პროკურორმა საქმე უნდა გადასცეს სასამართლოს და წარუდგინოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შესახებ.

არასრულწლოვნებთან დაკავშირებით სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ვადები შემცირებულია სრულწლოვანი კანონდამრღვევებისაგან განსხვავებით, კერძოდ:

ა) არასრულწლოვანთა საქმეზე სააპელაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირაში და განაჩენი გამოაქვს აქედან ერთი თვის ვადაში;

ბ) არასრულწლოვანთა საქმეზე საკასაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში და გადაწყვეტილება გამოაქვს აქედან არაუგვიანეს 3 თვისა.

სასამართლო პროცესს არასრულწლოვანი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს, მაგრამ შესაძლებელია არც დაესწროს და მის დაუსწრებლად გაიმართოს პროცესი. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა:

ა) არასრულწლოვანი თავს არიდებს პროცესზე გამოცხადებას;

ბ) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, როცა მაგალითად ხდება პროცესზე მტკიცებულებათა გამოკვლევა, მოსამრთლეს შეუძლია არასრულწლოვანი გაიყვანოს პროცესიდან;

და რაც მთავარია არასრულწლოვანთა საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ განიხილავს.

როცა მოსამართლე გამამტყუნებელ განაჩენს გამოაცხადებს, შემდეგ ნიშნავს სასჯელის დანიშვნის თარიღს და ეს თარიღი არ უნდა აღემატებოდეს გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებიდან 7 დღეს.

როდესაც სასამართლოს წარუდგენენ შუამდგომლობას აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, ამ შუამდგომლობის წარმდგენს შეუძლია მოითხოვოს შემდეგი აღკვეთი ღონისძიებები:

ა) მეთვალყურეობაში გადაცემა - ამ შემთხვევაში არასრულწლოვანი გადაეცემა მშობელის, ახლო ნათესავის, მეურვის, მზრუნველის ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში, რომლის დროსაც ხდება წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება სადაც ორივე მხარე აფიქსირებს თანხმობას მეთვალყურეობაში გადაცემის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების ამღები პირი ფიქრობს რომ თავს ვერ ართმევს დაკისრებულ

მოვალეობას უარი მეთვალყურეობაში გადაცემის შესახებ ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს, რადგან თუ მეთვალყურეობას ვერ უზრუნველყოფს, ამისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ითვალისწინებს სასჯელებს ვალდებულების ამღები პირის მიმართ.

ბ) შეთანხმება გაუსვლელობასა და სათანადო ქცევის შესახებ - ეს აღკვეთი ღონისძიება კანონდამრღვევ არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს როცა ჩადენილია ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, და რომლის დროსაც არასრულწლოვანს ეკრძალება ქვეყნის დატოვება და თავისი სურვილით ქალაქიდან ქალაქში სიარულიც.

გ) გირაო - ამ შემთხვევაში კი სასამრთლო ითვალისწინებს კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და მის ქონებრივ მდგომარობას და ეს თანხა შეიძლება იყოს ნებისმიერი ოდენობის.

დ) პატიმრობა - აღკვეთი ღონისძიების ეს საშუალება ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენება და ისიც მაშინ თუ:

- კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას;

- არსებობს საშიშროება, რომ კანონდამრღვევი არასრულწლოვანი დაემალება გამოძიებას, გაანადგურებს მტკიცებულებებს ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს;

- მიზანი, რომელსაც ემსახურება არასრულწლოვნის პატიმრობა, აღემატება არასრულწლოვნის თავისუფლების ინტერესს.

ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიმართ არ შეიძლება იქნეს გამოყენებული პატიმრობა, როგორც აღკვეთი ღონისძიების სახე. პატიმრობის როგორც აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებისას არის მკაცრად განსაზღვრული წესები, კერძოდ პატიმრობის საერთო ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი უნდა განთავისუფლდეს, სასამართლო ასევე უფლებამოსილია პროკურორის მიმართვის საფუძველზე ყოველ 20 დღეში ერთხელ ზეპირი მოსმენით განიხილოს კანონდამრღვევი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული პატმრობის ვადის გაგრძელების, გაუქმების ან შეცვლის შესახებ

საკითხი, ხოლო საერთო ჯამში კანონდამრღვევი არასრულწლოვნის პატმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

კანონდამრღვევი არასრულწლოვნის სისხლის სამართალწარმოების შემდეგი ეტაპი კი საქმის განხილვა და სასჯელის დანიშვნაა, რომელზეც წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი.

შიდა ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით შექმნილია ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც ბავშვის ინტერესების დაცვისათვის საჭირო ბერკეტებით იღჭურვება. ერთ-ერთი ასეთია შეტყობინების პროცედურა[41].

მხარე სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ პირს ან პირთა ჯგუფს ენიჭება უფლება მიმართოს კომისიას თუკი ფიქრობს რომ დაირღვა მისი რომელიმე უფლება რომელიც გათვალისწინებულია შემდეგი დოკუმენტებით:

ა) კონვენცია;

ბ) კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას;

გ) კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც ეხება ბავშვთა ჩართვას შეიარაღებულ კომფლიქტში

პირველი ნაბიჯი, რაც კომიტეტის მხრიდან ხორციელდება, ეს არის შესაბამისი დაცვის ზომები რათა თავიდან იქნეს აცილებული ის მნიშვნელოვანი ზიანი, რომელიც შეიძლება სავარაუდო დარღვევის მსხვერპლს მიადგეს. მომდევნო ეტაპზე კი განიხილავს შეტყობინებას და და უგზავნის მხარეებს შესაბამისი რეკომენდაციების თანხლებით.

§2. არასრულწლოვნის დაკითხვის სპეციფიკა

ზოგადად დაკითხვა ყველაზე გავრცელებული საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებაა, იგი ზოგადად სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მტკიცებულების მიღების და შემოწმების ერთ-ერთი ხერხია, დაკითხვა საკმაოდ

[41] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4465347?publication=0 მოძიებულია

რთული ფსიქოლოგიური პროცესია და იგი შეიძლება იყოს პირველადი, განმეორებადი ან დამატებითი და მიტუმეტეს მაშინ როცა საქმე არასრულწლოვანთან გვაქვს.

არასრულწლოვნის დაკითხვა უნდა მიმდინარეობდეს საპროცესო კოდექსთან შესაბამისობაში, მუქარის, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის გარეშე. ასევე დამკითხავი არასრულწლოვანს უნდა მიუდგეს გაგებულად. არ უნდა გამოიყენოს ძალადობა.

არასრულწლოვნის დაკითხვა წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთ სახეს. არასრულწლოვანი, ისე როგორც ნებისმიერი სრულწლოვანი პირი შეიძლება დაიკითხოს გამოძიების ეტაპზე მაგისტრატ მოსამართლესთან და ასევე საქმის არსებითი განხილვისას სასამართლოში. ნებისმიერი მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმეებისაგან განცალკავებით. არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

საქართველოს კანონმდებლობა განასხვავებს და ადგენს იმ თავისებურებებს რაც დამახასიათებელია არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების წარმოების დროს. კერძოდ ყურადღება ექცევა არასრულწლოვნის ცხოვრებისა და აღზრდის პირობების გამოკვლევას, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობას საქმეში. არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის წარმოებაში არასრულწლოვანი ბრალდებულის პირველი დაკითხვისთანავე მონაწილეობს არასრულწლოვნის პედაგოგი ან კანონიერი წარმომადგენელი და სავალდებულოა ადვოკატის მონაწილეობა.

კანონდამრღვევი არასრულწლოვანი ჩვენებას აძლევს თავის მშობლიურ ენაზე. შესაძლებელია ფსიქოლოგიც გახდეს დაკითხვის პროცესზე საჭირო, ასევე აფრთხილებენ რომ თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. არასრულწლოვანთა დაკითხვას აქვს თავის განსაზღვრული პერიოდი და ხანგრძლივობაც, მაგალითად არასრულწლოვანი არ შეიძლება დაიკითხოს ღამის 22 საათიდან დილის 8 საათამდე შუალედში და ასევე გამოყენებული უნდა იქნას

შესვენებებიც, შესვენების ინტერვალი კი დამკითხავმა უნდა განსაზღვროს საქმის სირთულიდან და შინაარსიდან გამომდინარე , ასევე ამ პერიოდში არ უნდა მოხდეს მისი რომელიმე უფლების დაღვევა, მაგალითად საკვების მიღება და ა.შ.

რაც შეეხება დანაშაულის ერთ-ერთ კატეგორიას, როგორიცაა ოჯახური დანაშაული, ასეთ დროს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაიკითხოს არასრულელოვანი.

§3. განრიდება-მედიაციის პროგრმა

2014 წლის 13 ნოემბერს, ამოქმედდა იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომლითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში, ცვლილების მიზანია, პროგრამის დაახლოება აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებთან. აღნიშნული ცვლილებებით პროკურორს ექმნება შესაძლებლობა განარიდოს არასრულწლოვანი, არა მხოლოდ ნაკლებად მძიმე, არამედ მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის. იზრდება მედიატორის როლი განრიდების პროცესში. პროკურორის მიერ არასრულწლოვნის განრიდების გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მედიატორი შეხვდება დაზარალებულს და აუხსნის პროგრამის არსს და შესთავაზებს მიიღოს მონაწილეობა მედიაციაში.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს. ამავე წლის 19 ნოემბერს განრიდებული იქნა პირველი არასრულწლოვანი. 2013 წლის აგვისტოდან კი პროგრამა მოქმედებს მთელ საქართველოში. თუ პროკურორი საქმეზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შესახებ, შემდეგ უკვე უკავშირდება სოციალურ მუშაკს, რომელსაც გადასცემს არასრულწლოვნის საქმეს. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს არასრულწლოვნის შეფასება-დახასიათებას, რის საფუძველზეც განისაზღვრება, თუ რა კონკრეტული პირობების შესრულება იმოქმედებს დადებითად არასრულწლოვანზე და შეუწყობს ხელს მის გამოსწორებას. მხარეებთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი მშობელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი და

დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არასრულწლოვანს გაეწევა მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის ან საზოგადოების წინაშე. არასრულწლოვანს დაეხმარება სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია.

პროგრამის ძირითადი მიზანია, საზოგადოებას დავუბრუნოთ სრულყოფილი მოქალაქე. ამიტომ არასრულწლოვნის რეაბილიტაციას დიდი მნიშვნელობა აქვს.

არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვნმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკულების პირობები. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი არსრულწლოვნის საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია, ხელახლა დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა ამ არასრულწლოვნის მიმართ. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ კარგად უნდა დააფიქროს არასრულწლოვანი და უზრუნვლყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.[42]

მედიაცია, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი ,,დანაშაულის პრევენციის ცენტრის" საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. აქედან გამომდინარე, ცენტრი აქტიურად მუშაობს მედიაციის განვითარებაზე და დანერგვაზე.

არასრულწლვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომლის მენეჯმენტსაც ახორციელებს დანაშაულის პრევენციის ცენტრი. მედიატორები, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდსა და დაზარალებულთან მუშაობენ, ცენტრის თანამშრომლები არიან. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ მედიაციას გამოყენებით განხორციელებულ განრიდების შემთხვევათა დიდი უმრავლესობა წარმატებით დასრულდა და განმეორებით ჩადენილი დანაშაულის რიცხვი ძალიან დაბალია. აღნიშნულმა წარმატებულმა გამოცდილებამ დანაშაულის პრევენციის ცენტრს მედიაციის მიმართულებით ახალი პროგრამის დანერგვის შესაძლებლობა მისცა.

---

[42]. არასრულწლოვანთა განრიდება, ხელმისაწვდომია: http://prevention.gov.ge/page/28/geo,(მოძიებულია.....)

მედიაციის სფეროს განვითარების სტრატეგიის წარმართვისა და ეფექტიანი მენეჯმენტის მიზნით 2014 წელს ,,დანაშაულის პრევენციის ცენტრის'' ბაზარზე მედიაციის სახლი გაიხსნა.

მედიაციის სახლის მიზანს მედიაციის მეთოდის გამოყენების გზით დანაშაულის პრევენცია წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს:

- მედიატორის საქმიანობის სტანდარტის შემუშავება, დახვეწა;
- მედიატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა;
- მედიატორის ეთიკის კოდექსის შემუშავება;
- მედიაციის ინსტიტუტის გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- მედიაციის ფორმების დახვეწა და პრაქტიკაში დანერგვა;
- მედიაციის გამოყენების სფეროების გაფართოება;
- სამუშაო სივრცის შექმნა დედაქალაქში მიმდინარე მედიაციის შემთხვევების წარმართვისათვის;
- რესურს ცენტრის შექმნა მედიატორებისა და მედიაციით დაინტერესებული პირებისათვის.

როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, დღეისათვის მედიაცია გამოიყენება მხოლოდ როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმი. სამომავლოდ მედიაციის სახლი შეეცდება, თავად ამ მიმართულებითაც განავრცოს მისი გამოყენების არეალი, რაც იმას ნიშნავს, რომ მედიაცია შეიძლება გამოყნებული იქნას არა მხოლოდ განრიდების შემთხვევაში, არამედ სასჯელის პარალელურად; ასევე, პატიმრობის შემდგომად, როგორც დამნაშავის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისა და ასევე,დაზარალებულის რეაბილიტაციის საშუალება.

გარდა ამისა, დანაშაულის პრევენციის ცენტრი პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად შეეცდება, დანერგოს მედიაციის ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა: ოჯახური მედიაცია, სკოლის მედიაცია და სხვა. აღნიშნულ სფეროებში მედიაციის დანერგვა ხელს შეუწყობს ისეთი მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა

ოჯახური ძალადობა და ბულინგი, რაც თავის მხრივ, დანაშაულის პრევენციაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.[43]

პროგრამა თავდაპირველად მოიცავდა საქართველოს 4 ქალაქს: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი. 2011 წლის ნოემბერში მიემატა ორი ქალაქი: გორი და სამტრედია, ხოლო 2012 წლის თებერვალში 9 ახალი ქალაქი: მცხეთა, კასპი, გარდაბანი, წყალტუბო, ტყიბული, ბაღდათი, ხონი, ვანი დაქობულეთი. 2013 წელს დაემატა 10 ქალაქი: ხაშური, ქარელი, მარნეული, თელავი, გურჯაანი, სიღნაღი, ზუგდიდი, სენაკი, ფოთი და მესტია.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენებით არასრულელოვანი სრულად თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და ჩადენილი დანაშაულისათვის მის მიმართ ტარდება სხვა ტიპის ღონისძიებები, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვნის გამოსწორებას სისხლის სამართლის საქმის წარმოების გარეშე.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნის მიმართ გამოყენება, თუ:

ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული;

ბ) არასრულწლოვანი არ არის ნასამართლევი:

გ) არასრულწლოვანს არ მიუღია მონაწილეობა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში;

დ) არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;

ე) პროკურორის შინაგანი რწმენითა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ან უკვე დაწყებული დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესები.

ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი წერილობითი ფორმით გამოთქვამენ ინფორმირებულ თანხმობას განრიდების გამოყენებაზე.[44]

ზემოთ ჩამოთვლილი პირობები მხოლოდ ერთობლიობაში შეიძლება დაედოს საფუძვლად განრიდებისა და მედიაციის პროგრამას და არა ერთ-ერთი რომელიმე

---

[43]. არასრულწლოვანთა მედიაცია, ხელმისაწვდომია: http://prevention.gov.ge/page/31/geo, (მოძიებულია.....)

[44] . არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხლი40, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/law/8688/19791 (მოძიებულია.....)

ცალკე აღებული. პროკურორი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჯარო ინტერესს და ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენითა და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესით, განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არ გამოიყენება დანაშაულთა ერთობლიობისას.[45]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება იცნობს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებით გათვლისწინებულ შემდეგ ღონისძიებებს:

- წერილობითი გაფრთხილება;

ეს ნიშნავს, არასრულწლოვნისათვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

- აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის განრიდება-მედიაციის პროგრამა;

ეს მოიცავს განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას, საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულებას ანდა ნებისმიერ სხვა პროგრამას, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას.

- მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება;

ეს გულისხმობს დაზარალებულისათვის თუ შესაძლებელია არასრულწლოვანმა აუნაზღაუროს თავისი ხარჯებით ზარალი, რომელიც მიაყენა.

- უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა;

- დანაშაულის იარაღის ანდა სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსათვის გადაცემა;

- მოვალეობის დაკისრება;

კანონდამრღვევ არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს:

– განსაზღვრული ადგილის ანდა პირების მონახულება;
– ბინადრობის ადგილის შეცვლა;
– დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა;

[45]. განრიდება-მედიაცია, ხელმისაწვდომია: http://www.legalaid.ge/?action=page&p_id=265&lang=geo , (მოძიებულია.....)

– ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება;
– სხვა ისეთი ქმედება, რაც ხელს უშლის მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

არასრულწლოვანს ასევე შეიძლება დაევალოს:

– სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება;
– სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება;
– საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ანდა სამკურნალო პროგრამის გავლა;
– თავისუფალი დროის განსაზღვრული დროით გამოყენება;

სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

- მინდობით აღსაზრდელად განთავსება;

მინდობით აღსაზრდელად განთავსება ნიშნავს დროის გარკვეულ მონაკვეთში არასრულწლოვნის განთავსებას გამოცდილ აღმზრდელებთან, სახლისა და მშობლების განცალკავებით.

კანონდამრღვევ არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს ერთდროულად განრიდების რამდენიმე ღონისძიება, ოღონდ ეს ღონისძიებები უნდა იყოს გონივრული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი. ასევე დაუშვებელია ისეთი ღონისძიების შეფარდება, რომელიც იწვევს მისი ღირსებისა და პატივის შელახვას, მის მოწყვეტას ნორმალურ სასწავლო პროცესისაგან და ძირითადი სამუშაოსაგან და ასევე შეუძლებელია კანონდამრღვევ არასრულწლოვანს დაეკისროს ჩადენილი ქმედებისათვის გათვალისწინებულ მინიმლურ სანქციაზე მკაცრი განრიდების ღონისძიების დაკისრება.[46]

სქემატურად, რომ მივყვეთ მთელი ეს განრიდება-მედიაციის პროცესი შეიძლება ასე დავყოთ:

- დანაშაული და განრიდება.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია, იგი

[46]. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონი, მუხლი 42-48, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.ge/ge/law/8688/19791 (მოძიებულია.....)

განარიდოს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, ეს პროცესი მოიცავს პროკურორის დაკავშირებას სოციალურ მუშაკთან, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

- სოციალური მუშაკის შეფასება.

არასრულწლოვანი განრიდებულის სოციალური ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, სოციალური მუშაკი სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობს, ესენია

1 - პრევენცია - სოციალური მომსახურების მიწოდება შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით.

2 - რეაბილიტაცია - იმ არასრულწლოვნისათვის დახმარების გაწევა, რომელსაც დანაშაულებრივმა მოქმედებამ სოციალური ფუნქციონირება დაუქვეითა.

3 - რემედიაცია - უშუალოდ არსებულ პრობლემასთან ბრძოლა მისი მინიმალიზაციის ბოლომდე აღმოფხვრის მიზნით.

აღნიშნული მიმართულებით სამუშაოდ, უპირველესად საჭიროა განსარიდებლის სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება, მისი ზოგადი პორტრეტის შექმნა. ამ მიზნით ხორციელდება ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, რაც გულისხმობს არასრულწლოვნის კვლევას სხვადასხვა მიმართულებებით. ადამიანის ჩამოყალიბებას და მის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ბიოლოგიური, სოციალური და ფსქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც მუდამ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

ბიოლოგიური ფაქტორები დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე. ეს ფაქტორებია: გარეგნობა, სქესი, გენეტიკური დაავადებები და სხვა..

ფსიქოლოგიური ფაქტორები მოიაზრებს ადამიანის შინაგან სამყაროს, მის ცნობიერსა და არაცნობიერს, ინტელექტს, ტემპერამენტს.

სოციალური ფაქტორები მოიცავს ოჯახს და ოჯახურ ურთიერთობებს, თანატოლებს, სოციალურ გარემოს, ეკონომიკურ სტატუსს, რელიგიას და სხვა.

ბიო-ფსიქო-სოციიალური შეფასების მეშვეობით განსარიდებელი პიროვნების ყველა შესაძლო მხარეს ვიკვლევთ, ვითვალისწინებთ რა შეფასების შედეგად შექმნილ პორტრეტს, ვცდილობთ მისი დელიქვენტური ქცევის კორექტირებას, რათა შემდგომში ის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბდეს.

- მედიაცია

მედიაციის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა.

მედიაციაში ცენტრალურ როლს ასრულებს მედიატორი-სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც წარმართავს მთელ პროცესს.

მედიაციის პროცესი ორი ძირითადი ეტაპისაგან შედგება წინასაკომფერაციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია. პირველ, წინასაკომფერაციო ეტაპზე მედიატორის ფუნქციაა სპეციალური უნარ-ჩვევების გამოყენებით ხელი შეუწყოს მხარეებს შორის დიალოგის დაწყებას. ამ ეტაპზე მედიატორი ცალ-ცალკე უკავშირდება არასრულწლოვანს და დაზარალებულს, ესაუბრება მათ მედიაციის არსის, მიზნებისა და წესების შესახებ, აწვდის დეტალურ ინფორმაციას ხელშეკრულების სავარაუდო პირობების თაობაზე, აგრეთვე ათანხმებს ამ პირობებს მონაწილეებთან. მედიატორი ინდივიდუალურად აწარმოებს შეხვედრებს როგორც დაზარალებულთან ისე არასრულწლოვანთან. ამ ეტაპზე მისი მთავარი ამოცანაა, უზრუნველყოს მხარეთა ნებამყოფლობითი და ინფორმირებული მონაწილეობა მედიაციის პროცესში და მიაღწიოს მხარეთა შორის კონსესუსს მედიაციის ხელშეკრულების სავარაუდო პირობებთან დაკავშირებით.

მეორე - დასკვნით ეტაპზე მედიატორი წარმართავს კონფერენციას, რომლის მიზანია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და მისი შედეგების გაცნობიერება. კონფერენციაზე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგების შესახებ. ამ ეტაპზე მედიატორის როლი მდგომარეობს კონფერენციის წარმოებაში.

კონფერენციის, ისევე როგორც ზოგადად მედიაციის პროცესის მსვლელობისას, მედიატორი ვალდებულია იყოს მაქსიმალურად მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი, არ მიანიჭოს რაიმე უპირატეობა რომელიმე მხარეს, ამასთან უმნიშვნელოვანესია მედიატორის უნარი, შექმნას მხარეთათვის უსაფრთხო გარემო, გაამხნეოს მხარეები, ხელი შეუწყოს მათ საკუთარი აზრისა თუ პოზიციის გამოხატვასა და პირდაპირი დიალოგის წარმოებაში.

წარმატებული მედიაციის დასასრულია განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება, რომელშიც აისახება მიყენებული ზიანის ანაზღაურების შეთანხმებული გეგმა და მხარეთა სხვა უფლება-მოვალეობები.

- საზოგადოებრივი სასრგებლო აქტივობები;

განრიდების პროგრამაში ჩართული ის არასრულწლოვნები, რომელთა ქმედებას არ ჰყავს კონკრეტული დაზარალებული, ასრულებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობებს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობები და განრიდების ხელშეკრულებებში ხშირად გამოიყენება:

- დასუფთავება,

- გამწვანება,

- საქველმოქმედო აქციებისა და აუქციონებში მონაწილეობის მიღება,

- ხანდაზმულთა პანსიონატში დახმარება,

- სახალხო ტრანსპორტის დალაგება,

-თანასწორ განმანათლებელთა ტრენინგში მონაწილეობა და შეძენილი ცოდნის სხვა არასრულწლოვანებისათვის გაზიარება.

- ზიანის ანაზღაურება;

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ არასრულწლოვანი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მის მიერ ჩადენილ ქმედებას და აანაზღაუროს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი, ეს საშუალებას მისცემს არასრულწლოვანს უკეთ გააცნობიეროს მისი ქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი.

განრიდებული არასრულწლოვანი ხშირ შემთხვევებში თავად, პროგრამაში მონაწილე პროფესიონალების დახმარებით და დაზარალებული მხარის მონაწილეობით, ირჩევენ ზიანი სანაზღაურების საშუალებებს. უკვე არსებულ ზიანის ანაზღაურების ფორმებს შორის საინტერესოა, მაგალითად შემდეგი შემთხვევები:

ს/ს თელასთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება. მიღებული შემოსავლით დაზარალებულმა აანაზღაურა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი.

არასრულწლოვანმა მონაწილეობა მიიღო იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლების მიერ სამინისტროს მანქანების რეზერვაციის პროგრამულ უზრუნველყოფაში.

არასრულწლოვანი მიეხმარა დაზარალებულს ბაღში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

არასრულწლოვანმა დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით, იმუშავა შ.პ.ს. ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის'' ავტობაზაში.

არასრულწლოვანმა დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით, იმუშავა სააქციო საზოგადოება ,,პოპულში'', გაცემის განყოფილებაში.

არასრულწლოვანმა ცეკვის გაკვეთილები ჩაუტარა წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს.

- რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ძირითადი მიზანია, საზოგადოებას დავუბრუნოთ სრულყოფილი მოქალაქე, ამიტომ არასრულწლოვნის რეაბიილიტაციას და სოციალურ რეინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამისათვის სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებული შეფასება-დახასიათების შესაბამისად, არასრულწლოვანს გაეწევა მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის და ან საზოგადოების წინაშე.

განრიდებული არასრულწლოვნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სერვისები, რომლებიც მათ გონებრივ, ფიზიკურ თუ პროფესიულ განვითარებაში დაეხმარებათ. ამავე დროს, სერვისების მიწოდებისას, უნდა იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი.

განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებაში ხშირად გამოიყენება შემდეგი კატეგორიის სერვისები:

განათლება: უცხო ენების და კომპიუტერის კურსები;

სპორტი: კალათბურთის, ფეხბურთის, ცურვის წრეები;

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია: ინდივიდუალურ/ოჯახური ფსიქოლოგური კონსულტაცია; ტრენინგები: მოხალისეობრივი მუშაობა, ლიდერობა, გუნდური მუშაობა; მონწილეობა პროგრამაში ,,ჩემი უფროსი მეგობარი''; მონაწილეობა პროგრამაში ,,განრიდება ცივი იარაღის ტარებისათვის'';

სერვისები პროფესიული განვითარებისათვის: ჭრა-კერვის, თექის, ხეზე კვეთის, მზარეულის შემსწავლელი კურსები და სხვა.[47]

[47] .დანაშაული და განრიდება, ხელმისაწვდომია: http://ganrideba.ge, (მოძიებულია.....)

2010 წლის ივლისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომელმაც დღესდღეობით მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა. შეგვიძლია ქვემოთ ვნახოთ, თუ როგორი ცვლილებით მიმდინარეობდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული სასჯელების შეფარდება და სასჯელების რაოდენობა ბოლო წლებში, ასევე ცხრილების სახით მოვიპოვეთ კანონდამრღვევ არასრულწლოვან გოგონათა და ვაჟთა მონაცემები, ასევე ბოლო ცხრილზე ნაჩვენებია თუ როგორია განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა ბოლო წლებში.[48]

2020 წლის მონაცემები არასრულწლოვან მსჯავრდებულ გოგონათა და ვაჟთა რაოდენობა თვეების მიხედვით



[48]. სტატისტიკური მონაცემები, ხელმისაწვდომია: http://www.geostat.ge (მოძიებულია.....)

2020 წელში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული სასჯელები თვეების მიხედვით



2016 წლიდან – 2020 წლის ჩათვლით განრიდებულ კანონდამრღვევ არასრულწლოვანთა მონაცემები



დასკვნა

როგორც თემის კვლევამ გვიჩვენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხი დღესდღეობით მეტად პრობლემურია. საკითხის შესწავლისას მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი, როგორიცაა არასრულწლოვან დამნაშავეთა ასაკის დადგენა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მათი მოთავსება და არასრულწლოვნებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ასევე სასჯელის სახეები და შემდგომ უკვე საზოგადოებასთა ნურთიერთობის მოგვარება და ხელშეწყობა.

დღეს ჩვენს რეალობაში არასრულწლოვანთა დანაშაული ძალზედ მწვავედ დგას სამწუხაროდ, მტკივნეული თემა და პრობლემური საკითხია. მისი კარგად შესწავლა, გამოკვლევა ძალზედ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარებისათვის, ვფიქრობ, რომ თუ კარგად იქნება ეს ინსტიტუტი შესწავლილი თავისი პრობლემური საკითხებით, აღიკვეთება არასრულწლოვანთან დაკავშირებული დანაშაულებები, დაეხმარება სახელმწიფოს უკეთ განვითარებაში ეს კი მოხდება მაშინ როცა ეს სფერო ძირფესვიანად იქნება შესწავლილი თავისი ამოცანებით, მიზნებით, ამ მიზნების გადაჭრის ხერხების მოძიება კი წინ წაწევს ჩვენს ქვეყანას. მრავალი ნიუანსია დღესდღეობით რომელიც დახვეწას მოითხოვს, რათა მოხდეს მისი სრულყოფილად ჩამოყალიბება.

თემის კვლევა ემსახურება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს შესწავლას, რათა მოხდეს არასრულწლოვანთა მართმსაჯულების შემადგენელი ელემენტების ანალიზი. ჩემი აზრით ამ თემის უმთავრესი მიზანია უპირველეს ყოვლისა შეიქმნას მართებული წარმოდგენა არასრულწლოვანთა მართმსაჯულებაზე, რათა საზოგადოებამ გაიცნოს და ჩაუღრმავდეს ამ ინსტიტუტს.

დავიწყოთ იქედან, რომ ასაკი არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობისა სხვადასხვაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, საქართველოში რიგი ცვლილებები იყო ამასთან დაკავშირებით, რაზეც ზემოთ პარაგრაფებში გვქონდა საუბარი. დღევანდელი ასაკი უფრო შეესაბამება თანამედროვეობას ვიდრე ადრე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ასაკები, სასჯელის ერთ-ერთი დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე არასრულწლოვანმა გაიაზროს თავისი დანაშაული, დღევანდელი კანონმდებლობის მიერ დადგენილი არასრულწლოვნის

პასუხისმგებლობის ასაკით კი შესაძლებელია გაიაზროს დამნაშავემ თავისი დანაშაული, ხოლო ასაკით უფრო მცირეს ეს გაუჭირდება. დაწესებულებებს რაც შეეხება არასრულწლოვან დამნაშავეებს სჭირდება ცალკე იზოლირებული დაწესებულებები, სადაც იქნება მათთვის პირობები განათლებისათვის და სხვადასხვა გასართობი საშუალებები, რადგან საჭიროა დამნაშავე არასრულწლოვანს ხელი შევუწყოთ განვითარება-განათლებაში, მან არ უნდა იგრძნოს რომ მოწყვეტილია გარესამყაროს თორემ ამან შემდეგ შეიძლება მძიმე შედეგამდე მიგვიყვანოს როცა ეს არასრულწლოვანი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოვა. რაც შეეხება სასჯელებს უმჯობესი იქნება თუ მინიმუმამდე დავალთ, სასჯელის სახეებით არასრულწლოვან დამნაშავეებს უნდა ვაგრძნობინოთ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის არამართლზომიერება და არ უნდა დავუმძიმოთ ცხოვრება, რაც უფრო რთული იქნება სასჯელი მით უფრო ცუდ შედეგს მივიღებთ. მკაცრი სასჯელებით ჩვენ პირიქით ხელს შევუწყობთ მის დამნაშავედ ჩამოყალიბებას, რაც უარესია. არამედ ლოიალურები უნდა ვიყოთ, დავეხმაროთ მათ გარიყულად არ იგრძნონ თავი. ამ მხრივ მეტად წინგადადგმული ნაბიჯია განრიდება-მედიაციის პროგრამა, რომელიც ბოლო წლებში ამოქმედდა, ეს მართლაც წინსვლაა საქართველოს კანონმდებლობისათვის. ამ პროგრამის ფარგლებში როგორც ზემოთ ვნახეთ ცხრილებში მცირდება თანდათანობით არასრულწლოვან დამნაშავეების რიცხვი, ეს პროგრამა ხელს არ უშლის არასრულწლოვანს განვითარებაში, პირიქით ეხმარება კიდეც, რაც მისთვის ძალზედ საჭიროა იმ მომენტისათვის და მომავალი ცხოვრებისათვის.

ყოველივე იმ მხარეების გათვალისწინებით რაზეც ზემოთ თავებში გვქონდა საუბარი აღმოფხვრით იმ ნაკლოვანებებს რაც დღესდღეობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშია და მივიღებთ სასურველ შედეგს, რადგან არასრულწლოვანი ისაა ვინც მომავალში უნდა დადგეს ადამიანად და ჩვენ ვალდებული ვართ ხელი შევუწყოთ მის ადამიანად ჩამოყალიბებას და არა პირიქით, დავაბრკოლოთ მისი განვითარება.

გამოყენებული წყაროები

1. ახალაშვილი ნ., იურიდიული ფსიქოლოგია, თბ., 2009
2. ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელება საქართველოში, UNIGEF, 2007
3. გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადიკომენტარები, UNIGEF 2008
4. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 2020
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 2015
6. საქართველოს სისხლის სამართლიის საპროცესო კოდექსი, თბ., 2015
7. საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში UNIGEF, 2011
8. სახელმძღვანელო სპეციალისტების და პოლიტიკის შემმუშავებელისათვის არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, UNODG, UNIGEF, 2011
9. ჰამილტონი ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ანალიზი საქართველოში, გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარები, UNIGEF, 2007
10. ჰამილტონი ქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარები, UNIGEF, 2011
11. Чернышев А. , Преступность несовершеннолетних и меры борьбы с ней в СССР. Томск 1975

ინტერნეტ რესურსი:

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. ხელმისაწვდომია:http://museum.edu.ru/catalog.asp?cat_ob_no=13063&ob_no=13222
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპები, ხელმისაწვდომია: .http://www.labex.ru/page/g14_uvenpr_41.html
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, ხელმისაწვდომია:http://www.parliament.ge/ge/law/8688/19791

4. არასრულწლოვანთა განრიდება,ხელმისაწვდომია: http://prevention.gov.ge/page/28/geo
5. არსრულწლოვანთა მედიაცია, ხელმისაწვდომია: http://prevention.gov.ge/page/31/geo
6. არასრულწლოვანთა მედიაცია-განრიდება, ხელმისაწვდომია: http://www.legalaid.ge/?action=page&p_id=265&lang=geo
7. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ხელმისაწვდომია: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6582
8. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლი, ხელმისაწვდომია: http://kids.ge/articles/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98
9. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 2, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1108.pdf
10. დანაშაული და განრიდება, ხელმისაწვდომია:http://ganrideba.ge
11. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1225.pdf
12. ევროპული წესები, წესი 5, ხელმისაწვდომია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:blmaH8aqDyIJ:www.ombudsman.ge/uploads/other/1/1106.pdf+&cd=2&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=firefox-a#39
13. კავთუაშვილიე. არასრულწლოვანი დამნაშავვე, ხელმისავდომია: http://myadvokat.ge/wp-content/uploads/2013/07/არასრულწლოვანი-დამნაშავე.pdf
14. პეკინის წესები, წესი 5, ხელმისაწვდომია: http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:blmaH8aqDyIJ:www.ombudsman.ge/uploads/other/1/1106.pdf+&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge&client=firefox-a#26
15. სტატისტიკური მონაცემები, ხელმისაწვდომია:http://www.geostat.ge
16. Принципы ювенальной юстиции , ხელმისაწვდომია:http://www.labex.ru/page/g14_uvenpr_41.html

17. Гамаюнова А., модели институтаювенальной юстищии ხელმისაწვდომია:http://pedagogika.snauka.ru/2014/06/2442
18. Марковичева Е., модели ювенального судопроизводства проблемы типологизации, ხელმისაწვდომია:http://vestnik.osu.ru/2010_3/21.pdf
19. Данилова М, Три модели ювенальной юстиции: международный опыт, ხელმისაწვდომია:http://territoriaprava.ru/topics/7137